

554 / 2  
1904

ბ. ა. ნ. 2. 8

საქართველოს  
საბავშვო  
საბჭო



554/2

საუბავშვო სახატეგიაწი

კრებული

№ 1.

1



97

ბზილისი

სტამბა ტ. პ. როტინიანცის | Тип. Т. М. Ротинианца № 41.

1904

შ ი ნ ა ა რ ს ი

I მოლალური ლექსი — სესრესი . . . . .	3
II კრუხი და წიწილები (ლ. ტოლსტოისა) . . . . .	6
III არწივი (თარგმანი) . . . . .	7
IV გმირი ძალი (თარგმანი) — ტასასი . . . . .	8
V მურია მოთხრობა — გ. ბოკეჩიასი . . . . .	10
VI ლომის სიკვდილი ზღაპარი (ფრანგულიდან) — ალ. საჭაჭა- შვილის . . . . .	19
VII სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია (გადმოღებული) ან. წყნეთისა . . . . .	26
VIII ბეტას ხსოვნას — აკაკისა . . . . .	35
IX „მეთეს სძინაესო“ (თარგმანი) — ს. ტატიშვილისა . . . . .	36
X თაგვი (ბაგდანოვისა) თარგმანი — ალ. ნ — ძისა . . . . .	44
XI იაპონელთა ბავშვები — ათაბეგისა . . . . .	54
XII წვრილმანი: ანდაზები, შარაღა, ჩქარა გამოსათქმელი, სიტყვების ამოცანა და სახუმარო კითხვები . . . . .	63





8165

საქმეაწმილთ ნახატებიანი

კრებული



ბზილისი

ტაშა ტ. პ. როტინანტის, № 41 | Тип. Т. М. Рогинианца, Гол. пр. № 41

1904



---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Мая 1904 г.

---



## მ ო ლ ა ღ უ რ ი.

ცულებათ ცაში მონაზარდე  
 არ გინასავთ მოლაღური?  
 ან მის ტბილი ჭიკჭივისთვის  
 არ მოგიკრავთ სადმე უური?  
 ვერ შეატყუეთ თითქოს ჩივის:  
 «სიცოცხლეა განა ესა...  
 მე არ მკითხეს, მომაშორეს  
 ჩემ საუვარელ საუნჯესა.  
 გამომტაცეს ის, რაც ჩემთვის  
 სიცოცხლესედ ტბილიაო.

მას დავეძებ, ჩემთვის ანლა  
 არც ჭამა, არც ძილიაო»

ვერ შეატყუეთ? მამ მე კეტუვით —  
 რაც ამბათ მექვს გაგონილი,  
 ერთ დედ-მამას თურმე ჰყავდა  
 ზაწაწინა ორი შვილი.

მუდამ ერთათ მოტეკტიკვს  
 და-მმას არრა სჯობიაო.  
 დას სასულათ აღარ მასსოვს,  
 მმას-კი ერქვა გოგიაო.

ერთათ სტოდენ... იმათ ცქერით  
 მზე და მთვარეც სარობდაო,  
 ბულბულიც-კი ამ და-მმისთვის  
 თვის სიძღერას კალობდაო.

მაგრამ ერთხელ ჩვენ ზატარებს  
 კასაჭირი ეწვიათო.

საუვარელი ძროსა ტეეში  
 დაავიწუდათ მარტოთ მარტო.

დაკვიდონდა ჩვენი და-მმა.  
 ცხარე ცრემლით იტირესო  
 და ზირუტევის საძებნელათ  
 მიაშურეს ისევ ტეესო.

თურმე დიდხანს სძებნეს, სძებნეს.  
 დაიღალნენ ზატარები;

სის ქვეშ მისხდენ, უურს უგდებდენ,  
რას მღეროდენ ტუის ჩიტები.

—«ნეტავ მაგათ! დამ წაწმოსთქვა:  
სულ მღერიან ტებილათო;  
მეც რომ ახლა გადავიქცე  
მონავარდე ჩიტათო,—

ქიკჭიკს ვიწუებ, გავასარებ  
ძირს ბიწას და მალლა ტასა,  
ვერც მომტაცებს ველარავინ  
ჩემს საუვარელ მეგობარსა».

«მე-კი—გოგომ დაუმატა—  
მიტომ მინდა მქონდეს ფრთები,  
რომ ახლავე ფრთას ფრთას დაგვკრავ  
მალლა ტისკენ გაუფრინდები.

და იქიდან ჩვენს ძროსასა  
დავინახავ ადვილათო;  
აი მიტომ მსურს და ვნატრობ  
გადავიქცე მეც ჩიტათო».

ძარბაზი თურმე იმათ ნატვრა  
აუსრულდათ უცნაურათ...  
ჩვენი და-ძმა გადაიქცა  
ორ ზატარა მოლაღურათ

და მას შემდეგ სულ რბლასაც,  
თითქოს ემებს მოლაღური...  
ხალხის სიტყვით, სურს იპოვოს  
თავის ძროსა დაკარგული.

## პრუსი და წიწილავი.

ლ. ტოლსტოისა.



ქრუსმა ! გამოჩიკა წიწილები, შენახ-  
ვა და პატრონობა-კი ველარ შესძლო  
და წიწილებს უთხრა: ჩაჯექით ისევ ნაჭუჭში, რო-  
დესაც შიგ იჯდებით მეც ზედ დაგაჯდებით, როგორც  
წინეთ და ისე გიგდებთ ყურსა. წიწილები დაეთანხ-  
მენ, ჩასხდენ ნაჭუჭებში, მაგრამ შიგ ველარ დაეტიენ  
და ფრთები დაიმტვრიეს. მაშინ ერთმა წიწილამ უთხ-  
რა დედას: თუ სულ ასე ნაჭუჭში გვამყოფებდი სჯობ-  
და სულ არ გამოგეჩიკეთო.





ხ რ წ ი ვ ი.



**რ**თხელ ტყეში დავდიოდი. დავინახე არწივი, რომელსაც ფეხი მელიის ხაფანგში გაკვამოდა. არწივს მარცხენა ფეხი მოსტეხოდა. საბრალო ფრინველი ძალიან ცდილობდა ხაფანგიდან განთავისუფლებას. მეტათ შემეცოდა, არ მოვკალო, ხანშიში წამოვიყვანე და წამლობა დავეწყე. თუმცა არწივი მიშლიდა წამლობას, არ მანებებდა ფეხის შეკვრას, მაგრამ მე მაინც მაგრათ შევუკარ.


მეორე დღეს, როდესაც მივუახლოვდი არწივს, რომ წყლული გამეხსნა, წამალი დამედო და ისევ შემეკრა, ფრინველი მიათმინებით დამნებდა, აღარ მიშლიდა.

არწივმა გაიგო თითქოს, რომ მე იმისთვის სიკეთე მინდოდა.

მესამე დღეს, დამინახა თუ არა, შორიდანვე გამოძიშვირა ნატკენი ფეხი და დიდი მოათმინება გამოიჩინა წყლულის შეხვევის დროს.

არწივი ძალიან შემეჩვია. რომ დამინახავდა უხაროდა. როდესაც ფეხი მოტურჩა — გავანთავისუფლე.





## გვირი კალღი.

ქზარე ბრძოლა იყო. ფრანგები ეომებოდენ რუსისა და ავსტრიის შეერთებულ ძალას.

დიდხან არ ეტყობოდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა. ბოლოს ფრანგებმა გაიმარჯვეს, თუმცა ეს გამარჯვება ძვირათ დაუჯდათ, ბევრი ბრძოლა და მსხვერპლი მოუწდათ.

გაცხარებულ ბრძოლის დროს ფრანგების ერთი რაზმის მედროშე სასიკვდილოთ დაჭრილი დაეცა ბრძოლის ველზე. მას სიცოცხლის პირი აღარა ჰქონდა, როდესაც ლონემინდელი ძირს დაეცა, მხოლოთ მაშინ გააგდო ხელიდან დროშა.

იქვე ახლო მდგომი ავსტრიელი მეომარი მივარდა და დროშა მოიტაცა. მაგრამ დიდხანს არ შეერჩა ხელში მას ეს დროშა. მკვდარი მედროშის დიდი ძალლი ეცა, ავსტრიელი მიწაზე დასცა, წაართ-

ვა გასისხლიანებული დროშა და თავ-მომწონეთ მი-  
ურბენა თავიანთ ჯარის უფროსს.

ამისთანა გმირული საქციელისთვის, როგორსაც  
ვაუკაც-კი იშვიათათ ჩაიდენს, ფრანგებმა გმირ ძაღლს  
საპატიო ჯილდო მიუსაჯეს.

ტასო.

(თარგმანი)





## მ უ რ ი ა.

### I

ვენ ღარბას წუხელის ლეკვები დაუწრია ოდის უკან, მაგრამ ისეთი ვიწრო და გრძელი სორო-კი გაუთხრია, რომ მის მეტი შიგ ვერაზინ შეძვრება!.. — დილით ადრე გვასარა მოსამსახურემ.

ამ დროს მე ისევ ლოგინში ვიწექი, თვალებს ვნანაგ-დი, ძილსე ვფიქრობდი, ადგომა ჭირსაებ მესარებო-და, გულში ვწერებოდი რომ მსე ფანჯრის ზირდაზირ ამო-გორდა და თვალებში მიჩინხინებდა. ჩამესმა თუ არა უურში ღარბას ლეკვები დაუწრიაო, ხედა უნებურათ ისეთი შევს-ტი, რომ ტანტს ორ გოჯსე მოვწედი; ისე მოვცოცხლდი თითქო ეს არის ციკ წუხლში უბანიაო

— იმ სოროში მე შევძვრები და გამოვასნამ ლეკვებს — დავიძასე უცბათ და წამოვსტი ლოგინიდან... სად-ღა იყო იმ დროს ძილი, ისე ვიუავი გასარებული, რომ გაფრენას ცოტა-ღა მიკლდა.

— აი, მე ეშმაკო, რატო უოველ დილას არ წამოხსტი-

ბი ხოლმე ასე ცქციტათ?.. როცა რამე საეშმაკო ჩაგეწვეთე-  
ბა უურძი, მაშინ-კი ძალიან მარჯვე ხარ! შემნიშნა მამამ.

მე ცოტა არ იუოს შემრცხვა, გამახსენდა, რომ უოველ  
დილას დიდი წვალება მეონდა ტანისამოსის ჩაცმის დროს:  
ხან მარჯალში ვერ ჩაუურდი ფეხს და დავეცემოდი ლო-  
გინსე, ხან ბლუსას უგუღმა ჩავიცვამდი და ისევე გასახდე-  
ლი გამიხდებოდა, ახლა-კი ჩიტვიით წამოფუთხიალდი; ისე-  
თი რამ მახარეს, რომ თავი ვერ შევიკავე, ველარ დავმაგრ-  
დი, თოკით დაკრული რომ ვუოფილიუავ ტანტსე, მაინც  
გავგლეჯდი და წამოვსტებოდი. საჩქაროთ ჩავიცვია ტანისა-  
მოსი, ჩამოვსტი ლოგინიდან და ვეცი კარებს.

— მოიჯა, მე გიყო, ჩვენც მოვდივართ.— მომამხა დე-  
დამ. მე თუმცა შეჩერდი, მაინც ერთ ადგილსე მოუსვენ-  
რათ ვსტოდი და სტომითა და თამაშითვე გავუძეს მშობლებს  
წინ. ამოფურათ სახლს უკან და მივადექით სოროს, საი-  
დანაც ლეკვების წკმუტუნი გამოდიოდა. ჩვენ დანახვასე მო-  
იბინა ღარიბამ კუდის ქიცინით და კბილების ღრჭენით  
ლაქუცი დაგვიწყო.

— მოგილოცავ, ჩემო ღარიბავ, შვილების შექენას;  
ღმერთმა გაგისარდოს! მივეალერსე ღარიბას და მოფერებით  
თავსე ხელი გადუუსვი. ამანაც მადლობის ნიშნათ ხელები  
გამილოკა.

— ამ სოროში მართლა შენს მეტი ვერავინ შეძრება!  
მიტხრა მამა-ჩემმა.

მე ცოტა არ იუოს თავი მოვიწონე, რადგან საჭირო კაცი შევიქენ. მაშინვე გავიშლართე მიწასე და შევუავი თავი სოროში.

— უჭ! რა ბნელა! დავიძახე, ცოტა არ იუოს შეშინებულმა. გაგუდვისა შეშეშინდა.

— აქა ვართ, ნუ გეშინია, შე მსდლო! მოძახსა მამამ. შევიტანე ხელები სოროში და შევძვერი შიგ წელამდის. მიავუსვი ხელი, სულ სამი ლეკვი იყო. «გამწიეთ ჩქარა, თვარა სული მესუთება!» დავიუვირე მოუთმენლათ. უცბათ გამომათრიეს; თან ორი ჭრელი ლეკვი გამოვიუვანე, რომლებიც ღარიბას მუშუებთან მიუესნი. მეორეთ შევძვერ და გამოვიუვანე მესამეც.

— უჭ, ეს რა ყოფილას! წამოვიძახე გაოცებით, როდესაც სინათლეზე გავარჩიე, მგლის ლეკვის მკნახსი რუსი ხვადი, რომელიც სიდიდით თითქმის ორივე ლეკვის ტოლს იყო.

— ხვადია? იკითხა მოუთმენლათ მამამ.

— არა, ძუა, ძუ! ვუზასუსე მე, როდესაც ლეკვი ხელში გადავატრიალე და მუცელზე დავხედე.

— მაგი რომ ხვადი ყოფილიყო, ერთ ოჯახსათ ეღირებოდა! შენიძნა დაღონებით მამა-ხეშმა.

— არა უძახეს-რა, სულ ერთია; «ლეკვი ღომისა სწორია ძუ იუოს თუნდა ხვადიო». ისუმრ დედამ.

წამოვასსით ღარიბას ოჯახობა სახლში. მე სულ ცაა-

ვით მოკუსტოდი წინ. მივიუგანეთ ლეკვები სამხარეულოს სასურნავ-ქვეშ, ერთ მეუღრო ალაგას და იქ მოკუგალათეთ. ამ დღიდან ღარიბასე და მის ოჯახობასე ზრუნვა ჩემგან დღითი დღე ორკეცდებოდა. თივის ბუღული მათთვის მოქონდა დასაგებათ, რომ ლეკვებს ნიადაგ რბილი და მძრა-ლი საწოლი ჰქონებოდათ. უოველდღე მეძუძური ძაღლისთვის სალაფავს ვამსადებდი, რომ რძე ბლომათ ჰქონოდა. ლეკვებისთვის გამდელს სძირათ დოს ვართმეგდი და იმითი ვამლობდი. მურია, როგორც ტანით იყო დიდი მძებსე ისე ღონითა და სიანხსლით განირჩეოდა მათგან. ორივეს გადა-ჰქურდა სოღმე თეფშიდან, გამლიდა თათებს და თვითონ დაისაკუთრებდა საჭმელს, ისე, რომ სძირათ სელში უნდა დამეჭირა, რომ სხვეებსაც რამე ეჭამათ. ამ დროს მურია ბრასობდა, იღრინებოდა, იუეუებოდა და უდილობდა სელზე ევინა. მე-კი ეს მინარობდა, რადგან გამეგონა—ძაღლი სიავით იქებაო. წარმოდგენილი მქონდა, როცა გაიზრდებოდა ჩემი მურია—ესომი ვერა შემოეპარებოდა-რა.

გაიხარდა მურია... ისეთი ფრთხილი და ისეთი ავი რამ იყო, რომ მისი მოსვენება არ შეიძლებოდა; მისი ბოხი სმა ესოს სან ერთსა და სან მეორე კუთხეში ზარბაზანივით გრკვი-ნავდა. მისი ბამით სსვა ძაღლებიც გაფხისლდენ და ესო-ში შემოპარულ მესობლის ღორს ან ძაღლს ცოცხალი და-ბრუნება უჭირდა. უცხო ვინმე რომ ესომი შემოვიდოდა უთუოთ რამდენიმე ჯოხი უნდა სჭეროდა სელში; რაც უნ-

და მარჯვეთ ეოფილიყო—მურია მანც გამოსტაცებდა ჯოსს  
 ხელიდან. მამა-ჩემი ნიდაგ განკვირებაში მოდიოდა მუ-  
 რიის მამაცობით და სძირათ ეტეოდა სოლმე დედა-ჩემს:  
 «ძენი იმედი სავსებით გაამართლა მურიამაო!»

## II

ერთ საფხულს დედა-ჩემი სამშობლოში წავიდა და მამა  
 ჩემიც თან წაჭყვა... ერთი თვის შემდეგ დაბრუნდენ მრავალი  
 საჩუქრებით; სსვათა შორის მოიყვანეს გოდრებით თოვლი-  
 ვით თეთრი ბატები და ოქროსფერი ინდოურები. ამათ გა-  
 საფხულსე კვერცხები დადეს და შემდეგ გამოიყეს ქულა-  
 ქულა ჭკუები... იმათ უძვენიერეს თვალი არას ნახვდა ისე-  
 თი კარგი სანახავები იყვენ. მათ მწვემსებათ ვიყავით მე და  
 ჩემი და ბაბო. ფართე გაძლილ ესოში ბატები ბალახობ-  
 დენ, სოლო ინდოურები ზოლობდენ აუარებელ ზეჟელეებს,  
 კალიებს, ბუსებს; იჭერდენ და სჭამდენ. გამდელს მათვის  
 მუდამ დამხადებული ჭქონდა გობით მოსარშულ-მოჩეჩქვილი  
 ჭინჭარი, სიჭა და სსვა ბალახი—სიმინდის ფეკილში ან ქა-  
 ტოში არეული და მითი აწურებდა ყველას. ისინიც რიგსე  
 ძლებოდენ ზ უფრო ხალისით დაერეოდენ. სოლმე ბუს-ზეჟელებს  
 ხან ერთ და ხან მეორე მხარეს; მე და ბაბოც დავდევდით უკან.  
 ხან დავსდებოდით ჩეროში და იქიდან ვადევნებდით თვალს.  
 იმათმა მოვლა-პატრონობამ ისე გაგვიტაცა ორივე და-მამა,



რომ სძირათ სადილოც აღარ გვაგონდებოდა. შუა-დღისას, როდესაც ძალზე ჩამოცხებოდა, ინდოურები და ბატები გაქანებოდნენ წელისკენ, რომელიც ჩვენი სასლის გვერდზე საამოთ მოჩანჩქარებდა და გაგრილდებოდნენ ცივი წელით. ინდოურები, წუწუვილს მოიკლავდნენ თუ არა, დატოვებდნენ წეალს და ისევ ჭია-ღუებსე ნადირობას მიჰყოფდნენ ხელს, ბატები-კი თავიანთ ჭუკებიანათ შეცვივდებოდნენ შუაგულ წეალში და დაიწებდნენ ცურაობა-უურჭუმელაობას. ჰატარა ჭუკები ხან აქეთ გაგვექცოდნენ ხან იქით და იმათ წელიდან ამორეკას საშველი აღარა ჰქონდა.

— რა მშვენივრათ ცურაობენ ბატის ჭუკები! ნეტა ვინ ასწავლა მათ ცურვა? დამეკითხა ერთხელ ბაბო, მათი ცურვით აღტაცებული.

— არ იცი ვინ? ვინ და ღმერთმა! ვუპასუხე მე დიდგულათ.

— მერე ქათმებს და ინდოურებს რატომ აღარ ასწავლა?

— იმათ ხეზე ჯდომა ასწავლა.

— მერე რომელი ჯობიან—ხეზე ჯდომა, თუ ცურაობა?

— ორივე კარგია... ნუღარაფერს მკითხავ, თორემ ხმას არ გატყმ. გადაჭრით გამოფუცხადე ბაბოს, მისი კითხვებით მობესრებულმა.

გაჭირებით მოვრეკდით ბატებს წელიდან და გავირეკავდით წინ ბალახის საძოვნელათ.

— დამაცათ მე თქვენ, დამაცათ! დაგვეუქრებოდა სუმრობით გამღელი, როდესაც რამე ცუდლუტობას შეგვამჩნევ-

და—ქორმა ან ვეაჟმა რომ ჭუკი მოგტაცოთ, ვედარ გადა-  
მირჩებით ცოცხალი!

— ნუ გეშინიან, გადა, ჩვენ მტაცებელს არას გავა-  
ტანთ, ჯავრი ნუ გაქვს.— შეეძახებოდა გამდელს და ხალისით  
გავედევნებოდა უკან ინდოურებს.

— თუ საღამოს უკლისათ ჩამახარებთ, მამინ მე ვიცი  
თქვენი საჩუქარი— მოგვამხსებდა გასამსწევებლათ გამდელი.  
და ჩვენც დიდის ხალისით დავსტრიალებდით თავს ჩვენ საყ-  
ვარელ ჭუკებს.

ტყუილათ არ გვაფთხილებდა გამდელი: შემოკვეჩია ერთი  
სისხლივით წითელი ქორი— მეტათ გულადი და შეუპო-  
ვარი, (როგორც ვფიქრობ მონადირისაგან უნდა ყოფილი-  
ყო გაწვრთვნილი). ის ყოველთვის ჯარასავით თავს დას-  
ტრიალებდა ინდოურებს და შეიქნებოდა ერთი ალიაქოთი.  
თავსარ-დაცემული ზატარა ჭუკები შეჯგუფდებოდნენ ერთათ.  
მათ გარს შემოეხვეოდნენ დედალ-მამალი ინდოურები, ცალი  
თვალით მიაჩერდებოდნენ მტერს, გაჭკიოდნენ და ოხრავდნენ.  
თუ ჩემი და ბაბოს «ჰაუ, ჰაუს» მახილი და ჯონების ქე-  
ვა არა— ცუდათ იყო მათი საქმე, ქორი უმჭკველია ინდოურებს  
არ შეეპუებოდა და რომელსამე საბრალო ჭუკს იმსხვერპლი-  
და. ბოლოს და ბოლოს ქორი ისე გათამამდა, რომ ჩვენც  
აღარათ გვაგდებდა და მისი ძირს დაშვება დიდ ომს გამო-  
გვატარებდა სოღმე. თუ ჩვენგან ხელ ცალიერი წავიდოდა  
საბრალო კრუსს დაეჩანებოდა, ააფცქენიდა წიწილს და რო-  
მელიმე სის ტოტსე გაიძლიდა სუფრას.

## III

ერთ დღეს მეტათ ჩამოცხა. ინდოურებმა და ბატებმა რომ წელის სმით გული მოიჯერეს — მე და ბბომ ისინი შევრეკეთ ფარესში, სადაც ბევრი მწერები გვეგულეობდა. ჩვენ-კი ახლოს მუხის ჩეროში წამოგვოტრიბლდით და საამო გრილ ნიავესე გემრიელათ მიგვეთვლიდა.

— თქვენ კიდევ დაგმინებიათ, შვილებო, უნანმა (გველმა) არ დაგშანათ, აქ საშიშია! თავსე დაგვანსა გამდელმა. ჩვენ უკებ წამოგვკვივდიდ და დავიწეთ თვალების ფშენება. გამდელიც გვერდით მოგვიჯდა და ალერსით დაგვიწოთ გამოფნისლება.

დიდხანს არ გაუკლია, რომ რისხვასავით განდა წითელი ქორი. თვალი მოჭკრეს თუ არა ჭუკებმა კივილ-უივინით შეჯგუფდენ დედების შუა. უფროს ინდოურებს შეუდგათ ალიაქთი, არ იცოდენ როგორ მოქცეულიყვენ. ჩვენ საჩქაროთ მივეშველეთ და მოვრთეთ უვირილი, გადას ბონი სმა ქუსილივით განსმოდა, ქვეიდან ჯონებსაც ვესროდით, მაგრამ მოსისხლე მტერი არამც თუ ფთხებოდა, არამედ უფრო ძირს იწევდა, გვიანლოვდებოდა, თვალებს ცეცხლსავით ბოროტათ აბრიალებდა. ბოლოს წამოვიდა ძირს ბურთივით და ის-ის იყო უნდა ემსხვერპლა რომელიმე ჭუკი; ამ დროს, თითქო მენი გაკარდა შედ ჩემ ფენებთან.—



«ვაიძე დედა!» დავიძახე და იქვე მომეჭრა ფეხები. რაღა-  
მაც ელვასავით გადამიარა თავზე და ელვისავე სისწრაფით  
ებღღნა მიწს დაშვებულ ქორს... ეს იყო მურია, რო-  
მელიც ჩვენს ვვირილზე მოკვეთველა და გამაგრა მტაცებე-  
ლი. გაბღღნილი წითელი ქორი უსულოთ ეგდო მიწასზე.  
ინდოურები შეუბრალებლათ წიწკნიდენ და კორტნიდენ,  
ჯახვრს ურილობდენ. გამარჯვებული მურია-კი სისხლიან ტუ-  
ჩებს თავ-მოძწონეთ ილოკავდა.

— შენ გენაცვალე, ჩემო მურია! შესძახა გაბღღმა და  
გადაჰკოცნა მურია. მე და ბაბომ არ ვიცოდით როგორ გამო-  
გვეთქვა ჩვენი სინარული. ამას შემდეგ ეველა მურიას ამ-  
ბავში და ქება-დიდებაში ვიუხვით.

გ. ზოკერია.





## ლომის სიკვდილი

(ინდოური ზღაპარი)

(ფრანკულიდან)

ომი მეფე რომ დაბერდა და სიკვდილს მიაწია, იხმო თავისი შვილი და ასე უთხრა:

— შვილო, ძალე დიდი სასელმწიფოს პატრონი გახდები. ისე დაუძღურდი, საცაა სული

ამომხდეს. უწინ ხარისთვის რომ კბილი ჩამეგლო, ერთის მოქნევით მსარზედ მოვიგდებდი და ისე წამოვიღებდი; ახლა კი, მგონია, თიკანმაც დამიბრეფოსო. მაგრამ მაგისთვის ნუ ინადვლი, შვილო, სატირლად-კი არ დამიბარებინარ, მინდა დაზარეოლო.

ლომმა ბატონიშვილმა მოისვა მარჯვენა ტოტი მარცხენა თვალზედ, ვითომ ცრემლი მოიწმინდაო.

მეფემ სული მოითქვა და კვლავ მოჭეუა:

— რაც ამ ათი დღის სავალ მიდამოს სულდგმული დადის თუ ფრინავს, დასტის თუ სცურავს, — სულ შენი ემა

იქნება. უფთხილდი, ეგსომ დიდმა უფლებამ გული არ გა-  
ვიზვიადოს; ეცადე უფრო სიმართლითა და მოწყალებით  
იმეფო. სამართლის სასწორი დიდსა და ჰატარას შუა სწო-  
რეთ გეჭიროს, რომ მცირე ჭიანჭველაცა და ძლიერი ვეფ-  
ხიც უშიშრად და გულ-დაჯერებით მოადგეს შენს კარს სათ-  
ხოვნელად. შენს მესობლებს ნუ ეჩხუბები. მე მეტად მიუ-  
ვარღა ომი და ამაში შენ ნუ მბამავ, შვილო. უველას საქ-  
მეში შენს აღმსრდელს სწილოს დაეკითხე ხოლმე: სწილო  
სწიერი კაცია, ჭკვიანი და წინ დახედული; იმის რჩევას თუ  
მიჭყევი, შენს უმებსა და შენს თავსაც სიკეთის მეტს არწას  
მიაყენებ. მეფისთვის-გი იმასე დიდი ბედნიერება აბა რა იქ-  
ნება, თავის ქვეყანას რომ სიკეთე მოჭყინოსო?

ეს რომ თქვა ლომმა მეფემ, ჰირი კედლისკენ ქნა და  
სული განუტევა.

ბატონიშვილმა კვლავ მოისვა მარჯვენა ტოტი მარცხე-  
ნა თვალზედ, ვითომ ცრემლი მოიწმინდაო; ნამდვილ-გი მა-  
მის სიკვდილი სულაც არ სწეენია და გულში ასე ამბობდა:

— ძლივს არ მოვესწარ მეუობას! ახლა-გი ავისრულებ  
ჩემს გულის-წადილსა და მოვიკლავ ქინსაო.

დამარხეს თუ არა ძველი მეფე, ახალმა თავისი გამსრდე-  
ლი სწილო იხმო და უბრძანა:

— აბა ჩემო ვესირო, ახლავე გამოაცხადებინე ჩვენს  
საბრძანებელში ახალი სჯული, რომლის დადება ჩვენ ვი-  
ნებეთ და ვიგულისმოდგინეთ. ვესირო. ჩვენი ბძანება: ამას

იქით ეოჯულ დილას თითო ჩვენი უმა, ვისაც წილი სვდეს, ეასლოს ჩვენს სამეფო ბუნაცსა რათა ჩვენგან შეჭმულ იქნას.

დაუიქრდა სპილო-ვესირი და ასე მოასსენა:

— სელმწიფეო, ეკ ახალი სჯული თითქო არ შეეფერება პატროსან ძამა თქვენის დარეკებას, სიკვდილის ქაძს ნანდერძევსაო.

— ძამა ჩემი გამოჩერჩეტებული ებედი იუო, — მიუგო ლომმა, — და კბილები არა ჰქონდა. მე-კი მაგარი კბილები ძაქეს, ახალ სორცს დასარბებული. ახლავე გამოაცხადებინე-მეთქი ჩემი ბძანება!

დაღონდა სპილო-ვესირი და კვლავ ჰკადრა:

— მკონია სამართალი...

— რის სამართალი, რა სამართალი! — სიტყვა განწუკეტინა ლომმა, — ეკ სულ ძველი ლათაიებია. მეფე ვარ, თუ არა? ამას იქით მე თითონ განვაცებ ჩემს სამეფოსა და არც არავის დავეკითხებიო.

ახლა-კი დარწმუნდა სპილო-ვესირი, რომ ვერას განდება და წამოვიდა ნაღველ-ჭმული.

აფრინეს თუთიუში — მეფის გსირი და ახალი სჯული ტყე-ტყე წააკითხინეს. ენა ვერ იტყვის, რა შიძის ხარი დასცა ეველა ტყის ნადირს ამ სასტიკ სჯულის გამოცხადებაძ.

მეორე დღეს, ლომი, იფსლის ლოგინსე ნებივრად წამოწოლილი ელოდა თავისს პირველ მსხვერძლს. იცო-

და, რომ წილი კურდღელსა სვდა, კემრიელს და სათუთ ნადირსა, და ამისთვის გულში უსაროდა და თავი მოსწონდა, რომ ასეთი სამართლიანი და მისის მეფობისათვის სასარგებლო სჯული დასდო.

ამასობაში მხემ თანდათან წამოიწია, კურდღელი-კი არსად სჩანდა. ძლივს, შუადღისას ლომმა თვალი მოჭკწა, მღელღელსე რომ მოცანცალებდა.

— სად დაიკარგე აქამდისაო? — შეჭყვირა მეფემ. — შენს ლოდინში მუცელმა გვრემა დამიწყო! განა ერთგულს უმას სასახელოდ არ უნდა მიანდეს ბატონის სამსახურისთვის თავი დასდოსო?

კურდღელმა ორივე ყურით მეფეს თავუანი-სცა და ჭკადრა:

— მომიტყევე, დიდებულო ხელმწიფეო, თუ აქამდის უსმოდ გაცდევინე. თუ დავიგვიანე ისევე ჩემი ერთგულობის ბრალია.

— ეგ როგორაო? — შემოუბღვირა ლომმა და მრისხანედ კუდი გაიქნია.

— თქვენს მეფობას რომ ვეანლებოდი, გსაში ერთი თქვენი ბიძაშვილი შემომეყარა. ამისირდა, გინდა თუ არ გინდა, შეგჭამო: შენთვის სომ სულ ერთია, მეფეს შეუჭამისარ თუ მეო. ძლივს ჩავგონე, რომ მე, რადგანაც თქვენი უმა ვარ, ჩემი თავი თქვენთვის უნდა დამესოგა. მე-კი დავადწიე თავი, მაგრამ, როგორც ვატეობ, თქვენი ბიძაშვილი სკალაც აზირებს შეუხნდეს თქვენს სასაუხმოდ წილ-ხვედრილს





ემსა და ვაი თუ იმან ჩემოდენი ერთგულობა ვერ გამოიჩინოს და თავი ვერ გამოიდოს, მაშინ სომ დარჩით უსმობთ!

— რაებს მიჭქარავ მანდა? — შეჭუვირა გამოწარებულმა მეფემ. — ეგ ვინ ბიძაშვილი კდია, ვიდაც თავსედი?

— სწორედ თქვენი მსგავსი მსეცი კახლავს, და ლომობასაც ჩემულობს.

— ნეტა ერთი მახვენა, ჩემს კარდა სსვა ლომი ვინ იქნება ჩემს სამეფოში, — ბრძანა მეფემ. — ვერ დამანასვებ, კურდღელო, იმ მსეცსა, ჩემი მსგავსება რომ გაუბედნია?

— ძალიან ადვილადაც მიგაგნებინებო, — მოასწენა კურდღელმა. — ეს — არის თავის ბუნაგში დაიძალა, თვალი მოკარი. თუ წამობძანდებით ნახევარ საათში მიგიყვანთ. მაგ ცოტა სიარულში თქვენს მეფობას ბარემ მადაც უფრო გაესწნებაო.

მეფე განჭუვა და კსა და კსა ასე ფიქრობდა: «ეს კურდღელი ძალიან უოჩალი ბიჭი უოფილაო, იცის, რომ შეუჭმელი არ დამრჩება და ასეთის თავგამოდებით-კი მემსახურებაო. ნეტავი ჩემი ემები სულ ამისთანები მევანდესო!»

ასე ამბობდა თავის გუნებაში მეფე და თანაც ჰირში ნერწევი მოსდიოდა, კურდღლის ჩასუქებულს გავას რომ დასედავდა.

ძალე ერთს დიდ ჭასთან მივიდნენ.

— აი, ხელმწიფეო, თქვენის ბედნიერის თვალთ იხილეთ. ეს კახლავთ თქვენი ბიძაშვილის ბუნაგი, წელან

რომ მოგასწავლებდით. აქ ჩამკვრა, ალბათ იმ იმედით, რომ თქვენ ვერ გაბედავდით აქ მოსვლასო. — ასე თქვა კურდღელმა და კრძაღვით ჩამოდგა.

ლომმა ჭაში ჩაინყდა და თავისი სახე წყალში დაინახა, ეგონა ეს არის ჩემი მტერიო.



— მართლა და ამ ჯურღმულში ჩამკვრა-ლა! დასე ამ ბრევს თვალებს როგორ მიბრიალებს! ვითომ მავით უნდა შეძმინოს. ავრეკი არ უნდა შეძინებაო...  
თქვა და ჩასტა ჭაში. წყალმა შხაპანი გაიღო და დაჭყვარა ლომი.

ასე დაიდუმა თავი ბედნიერს სიურმეშივე ლომმა მეუკე, იმიტომ რომ უგულვებელ ჭყო მშობლის მცნება და არ შეისმინა გამსწრდელის რჩევა.

კუდიანი კურდღელი-კი მიცუნცულდა ჭასთან და ჩასძახა:

— მართალია, მეუეო, ამ დილას ჩიჩია ვერ მიირთვი, მაგრამ ეგ წყალი სომ ბლომად სვიო!

თქვა და მოჭკურტცხლა, რომ მთელ ტუისათვის მოედო სასიცხარულო ამბავი. რაღა თქმა უნდა რა უსომო ღხინი შეჭქნეს ტუის ნადირთა: მაშინვე დაიდგეს დიდი ნადიმი, სადამოს-კი გამართეს მეჯლისი ცეკვა-თამაშითა.

და რადგან ლომს ნატამალი არაჟინ დაწინებდა, აირ-  
ჩიეს მეფედ სწილო და სცხოვრებდნენ ბედნიერად. ტუეში  
შოთმა დაიძინა და მშვიდობამ გაიღვიძა და თხა და მკე-  
ლი ერთგან სძოვდნენ.

აღ. სარაჯიშვილი.



## სასელის გატენას

თავის გატენა სჯობია.



სასელის გატენას თავის გატენა სჯობიაო, ეს ანდასა სწორეთ ზედ გამოჭრით ვირსება ნათქვამი.

ვირს უველას სულაღათ თვლის, ჯიუტს ეძინის, კერწას, სარძაცს, ბორბოს, გაუძაძლარს და რა გინდა კიდევ რა სასელს არ არქმევს.

მაგრამ ახლა ბუნების-მეტყველთ უსამართლოთ მიანინათ ვირის ამისთანა დასასიათება. ერთი ბუნების-მეტყველი, ფრანგი ანრი კუჰენი ამბობს, რომ გარდა ძაღლისა ვერა ჰირუტევი ვერ შეედრება სასელარს ჭკუითაო. მას მოჭუავს სსვა-და-სსვა მაგალითები თავისი ახრის დასამტეცებლათ. ის ამბობს: ვირის თავი, რომელიც შემკულია დიდრონი, გრძელი უურებით, გამჭრიახობით სავსეა და ხშირათ ეს გამჭრიახობა გამოიწვევს სოღმე მასში ჯიუტობასო; ის არ უჯერებს ჰატრონს და თავის ნებასე დადის, რადგან ვირის ჭკუით ეს მისთვის უფრო სასარგებლოა. ვირი სსვა ჰირუტევივით არ არის მოწილი ცხოველი, მაგალითათ, როგორც ცხენი. ცხენი რომ სედავდეს

კიდევ სიკვდილი არ ამცდებო, მანც დაუჯერებს მარჯვე მხედარს, ვირი-კი თავის დღეში ასე არ დაემორჩილება. როდესაც იგრძნობს ვირი დაღუპა მოძელისო, მაშინ მასე არავითარი მუქარა არ გავა, — არც ცემა შეაძინებს, რადგან გრძნობს, რომ მისგან სისულელეს თხოულობენ.

ვირის ჯიუტობას ვერავინ მოერევა, იმას თავის თავი ურჩევნიან ეველაფერს. ამასთანავე ის გრძნობს, რომ ჰატრონი მანც ზე მანც ბევრათ არ შეწუხდება მისი დაკარგვით ზე თვითონ უფროსილდება თავის თავს. ვისაც ვირით ან ჯაოროთ უძოგსაურია მადალ მთებზე კარგათ იჯის ესენი რა სიფრთხილთა და უშიშრათ დადიან მსებზე ვიწრო და საშიშარ ბილიკებით. ვირი საოცარის სიმშვიდით და სწორის ნაბიჯით ადის უფსკრულის ჰირას და ყოველთვის უმჯობესია, მკსავრმა თავისუფლება მისცეს, რომ ვირმა თავის ნებაზე იაროს, თორემ უფრო სშირათ მოსალოდნელია ცუდი შედეგი მოჰყვას.

ვირს თუძცა ბევრი ცუდი თვისებები აქვს, მაგრამ ეს ჩვენი ბრალია. სასოგადოთ ვირს სასაგლათ ჰკვებავენ, ხეირიანათ არ ატყვენ, ბევრს ამუშავენ; ცუდ-უბრალოთ, უმოწულთ სცემენ და ვირს თუ ჰკუა-გონება აქვს — უნდა გრძნობდეს კაცის ამისთანა უსამაროლო საქციელს და თავის შემუხებელს სამაგიერო უნდა გადაუნადოს.

«ერთსელო — ამბობს ანრი კუზენი — დავინახე საშინლათ შიძიეთ დატვირთული ვირი, რომელიც გაწვა გსახე და

აზაფრის გულისთვის არ ინძრეოდა. გაბრახებული ჰატრონი სცემდა ჯოხით და უნდოდა ძალით აეყენებინა, მაგრამ ამ ცემამ ვერაფერი უშველა. ვირი არ ინძრეოდა. როდესაც, ჩემი რჩევით, ჰატრონმა ვირს ჩამოხსნა ერთი სორობლით სავსე ტომარა, ის მაშინვე წამოდგა და მშვიდობიანათ გასწია წისქვილისაკენ».

ვირი ღარიბების მუშაა. თუმცა ეს საბრალო ჰატრონებს ეველაფერში ხელს უწყობს, მაგრამ ჰატრონს-კი მისი სიბრალოელი არა აქვს. შინაურ ჰირუტეეებთან შორის ვირი ეველასე უბედურია და მისი სვე-ბედი მძიმე და აუტანელია. სოგი ვირის ბედი-კი სსკანაირათ დატრიალდება სოლმე. ანრი კუჰენი გვიამბობს ერთი ვირის—სასელათ მარელიუსის ამბავს: «მარელიუსის ჰატრონს — მოსუცებულ სოფელ ფაბიონს, ერთი ჰატრონი მიწა ჰქონდა, რომელსაც თავის ცოლის შემწეობით ისე უვლიდა, რომ წლის სარჩო მოჰყავდა. ვირი იყო მათი თანამემწე მუშაობაში. ფაბიონიცა და მისი ცოლიც ძალიან აფასებდნენ მარელიუსს, თავის დღეში არა სცემდნენ და უდიერის შრომით არა ღალაკდნენ. ეტეობა ვირიც აფასებდა ჰატრონებს, რადგან მათი დიდი ერთგული იყო. ერთხელ ვირი მინდორში, თავის ჰატრონის ცოლთან ახლო, ბალახსა სძოვდა. დედაკაცი ჩრდილში მიმჯდარიყო და ტკბილათ ჩასმინებოდა. ამ დროს მათ ახლო გაიარა ერთმა ქურდმა და რა ნახა ვირი მარტო მოინდომა მისი მოპარვა. ახლო-მანლო სულ არავინ ჩანდა, რომ მისი ქურ-

ღობა შეემჩნიათ. ქურდმა მოქერსებით უცებ გადააცვა ვირს თავზე ალვირი, შეჯდა ზედ და გააქანა. რადგან ვირი ისე სწრაფათ არ გარბოდა, როგორც ქურდს უნდოდა, ამიტომ მან ამოიღო ჯიბიდან დანა და წამდა უწყემ კვერდში ამკერებდა. მარელიუსი არ იყო დანჯეული ამკვარ საქციელს და ამიტომ იმან ერთ წამში გადაუსვია გზას და სწრაფად გაექანა იქითკენ, სადაც თავისი ჰატრონი—ფაბიონი ეგულებოდა. ქურდი ცდილობდა ისევ თავის გზისკენ მოებრუნებინა ვირი, სცემდა, ალვირს უჭერდა, მაგრამ ვირი არ აქცევდა უურადლებას და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა და მხოლოთ შედგა იმ ვენახთან, სადაც ფაბიონი მუშაობდა. მერე ისე უცბათ შეჩერდა, რომ ქურდმა თავი კვლარ შეიმაგრა და ვირამალა გადავარდა და ზედ კაოცუბულ ფაბიონის წინ დაეცა. ფაბიონი მისვდა რამიაც იყო საქმე და სანამ ქურდი კონს მოვიდოდა, დაუწყო მწარეთ ცემა. ამას შემდეგ ქურდი უეჭველია დარწმუნდებოდა, რომ ვირები ისეთი სულელები არ არიან, როგორი სახელიცა აქვთ განთქმული».

აი კიდევ ერთი მაგალითი იმისი, რომ ვირებს შეუძლიანთ მადლობის გადასდაც, ერთგულობაც, და მესხიერებაც აქვთ.

ერთმა მდიდარმა მეძაბულემ უყიდა თავის ერთთა ერთ შვილს გასართობათ ერთი წლის ჰატარა ჩოჩორი. ეს ჩოჩორი ძალიან ბედნიერთ ცხოვრობდა. ახალგაზრდაობაში ვი-

რები მხიარულები და ცქვიტები არიან. ჩინორი მდი-  
 დარმა შემამულემ რომ იუიდა, მთელი მისი ოჯახის საუვარე-  
 ლი კანდა. და ჰატარს ემაწვილისა დიდი მეკობარი. მაგრამ  
 ამ ბედნიერებამ დიდხანს არ კანტანა. მისი ჰატრონი — მდი-  
 დარი შემამულე — მოკვდა და მისმა ქვრივმა საცხოვრებლათ  
 ქალაქი ადგილი აირჩია; მოშალა თავიანთი სოფლური ოჯახ-  
 სობა, გაუიდა ეველაფერი: ცხენი, ვირი და სხვა. შვილი  
 მიაბარს ქალაქშივე სასწავლებლათ. ვირი იუიდა ერთმა მე-  
 ბოსტნე სოფელმა და სწორეთ ამ დღიდან დაიწყო საბ-  
 რალო ვირის ვაი-ვაგლახნი. მისთვის ხეირიანი არც ჭამა  
 იყო არც სმა, უწვალთ სცემდა და სხვა სიკეთესთან ეო-  
 ველ დღე ბოსტნეულებით დატვირთულ ურმებსაც ახიღვი-  
 ნებდა. თუ ვინიცობაა უცაბუდათ ვირს კანტარებდენ იმ  
 სახლის კარ-წინ, სადაც ადრინდელი ჰატრონები ცხოვრობ-  
 დენ და სადაც ის თავს ისე ბედნიერათ თვლიდა, ის გაწ-  
 ვებოდა მიწასე ჭიშკართან და, რაც უნდა ეკცემათ და ემწ-  
 ვალებინათ ადგილიდან არ დაიძროდა, თუ ურმიდან არ გა-  
 მოუშვებდენ და სხვა გსით არ წაიუვანდენ. სამი წლის გან-  
 მავლობაში, სანამ ვირი მებოსტნის ხელში იყო, ეს ამბავი  
 ხდებოდა, როდესაც-კი წინანდელ ჰატრონის კარ-წინ გა-  
 ატარებდენ. რაც უნდა სიბნელე ეოფილიყო ის მაინც იც-  
 ნობდა საუვარელ ჰატრონის სახლს და მაშინვე მიწასე გა-  
 წვებოდა. მებოსტნემ რომ ვერაფრით მოარჯულა ვირი, ბო-  
 ლოს აღარ დაიარებოდა იმ გსით.



გავიდა კარგა ხანი. ერთხელ ძალა-უნებურათ კიდევ მოუხდათ იმ გზასე გავლა. ვირი ჩვეულებისამებრ, სახლს რომ დაუხსლოვდა მიწასე გაწვა. მებოსტნეს, რადგან დაწმუნებული იყო, რომ ვირი ჯიუტობას არ დაიძლიდა, კეტი მომხადებული ჰქონდა და, გაწვა ვირი თუ არა, დაუწყო საშინლათ ცემა. ამ დროს გაიღო ჭიშკრის კარი, გამოვიდა ერთი ემაწვილი კაცი და რა ნახა რომ ვირს ასე უწვალათ სცემდენ მივარდა მებოსტნესთან და დაუწყო ჯავრობა და საბრალო ვირს გამოსარჩლება. ემაწვილმა კაცმა ამოიღო ხმა თუ არა ვირი წამოვარდა შესე, მივიდა მასთან, დასუნა და დაიწყო კუნტრუში, თან ჰიწისა და ხელებს ულოკავდა. ეტეობოდა იცნო თავისი ადრინდელი ჰატრონი, თუმცა სამ წელიწადსე მეტი იყო არ ენახა. ვირი ისეთი სიხარულით შეჭყურებდა ემაწვილკაცს, რომ მან მაშინვე გამოისუიდა თავისი სიბავშის მეგობარი.

ვირი დაბრუნდა თავის ადრინდელ ბინასე. მას ალარავინ სცემდა და არც ძალსე ამუშავებდენ და თავისი უკანასკნელი დღეები ისეთივე ბედნიერათ გაატარა, როგორც ახალგაზღობაში.

ვირს, რომ მესსიერება კარგი აქვს ამას გვიმტვიცებს კიდევ ერთი სსვა მაგალთი. 1816 წელს ერთი კანიტანის ვირი გიბრალტარში დასვეს გემსე, რომელიც კუნძულ ძალტას უნდა წასულიყო. მაგრამ გემი ვაკის კონცხის ახლო დიდრონმა ქვებმა გააჩერეს. დედამიწასე ცოტა მოშორებით ვირი გა-

უშვეს წყალში იმ იმედით, რომ ცურვით ნაპირას გავიდო-  
და. სღვა ადელდა და გემიდან ჩაშვებული ნავი და-  
იღუბა. მნელი წარმოსადგენი იყო რომ ვირი დასწრს-  
ბას გადაჩებოდა. მაგრამ რამდენისამე დღის შემდეგ, დი-  
ლას რომ გიბრალტარის ჭიშკარი გააღეს ნახეს ვირი, რო-  
მელიც კარებს მოსდგომოდა. ვირი შევიდა თუ არა ქალაქ-  
ში ზირდაპირ გასწია იმ ვაჭრის სასლისაკენ, სადაც იმას  
ადრე ბინა ჰქონდა. ვაჭარს ჯერ ძალიან გაუკვირდა, მერე  
იფიქრა უთუოთ ვირი დაჩენიათ გემის დატვირთვის დრო-  
საო. მაგრამ ეს ამბავი გამოიჩვენა, როდესაც გემი უკან  
დაბრუნდა. ვირი არამც თუ სღვის დეღვამ არ დაღუბა —  
გზაც-კი ადვილათ გაეგნო, თუმცა გემი ისეთს ადგილს გა-  
ჩერდა, რომ იქიდან გიბრალტარი სამსნი ვერსის სიშორე-  
ზე მდებარეობდა და ვირს თავის დღეში იმ მხარესე არ გა-  
ეკლო. რამდენი მთიანი ადგილები უნდა გადაეარა, რამდე-  
ნი წყალი უნდა გამოეცურა, რომ ვირს ბინამდის მიეღწია;  
ერთის სიტყვით საშინელი მკსავრობა გამოიარა, მაგრამ  
მანც ბინასე ცოცხალი მივიდა, ისე მალე რომ ეტეობა  
ზირდაპირ გზით უკლია და არც აქეთ და არც იქით არ  
გადაუსუვივა.

ამგვარი მაგალითები ნათლათ გვიჩვენებენ, რომ ვირი  
ისეთი სულელი არ არის, როგორც ეველას ჰგონია. ვი-  
რის ჭკუა-გონება იქამდის მიდის, რომ ხანდახან მუსიკაც  
კი უეგარს. ამბობენ ერთი ვირი ისე მიეჩვია სიმღერას,


რომ უოველ დღე დადიოდა სიმღერის მოსასმენათ ერთ ქალთან, რომელიც მძუენივრათ მღეროდა. როდესაც ქალი სიმღერას დაიწყოდა ვირი მიუახლოვდებოდა მის ფანჯარას და დიდის გულმოდგინებით უსმენდა. ერთხელ ვირი ისეთ ადტაცებაში მოვიდა ქალის სიმღერით, რომ შევარდა ჯერ დერეფანში, მერე ოთახში და მოინდომა კონცერტში მონაწილეობის მიღება და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიუროენა. ეს მზგაღითი უსათუოთ იშვიათად სდება, რადგან სასოკადოთ ვირს მუსიკა არ უყვარს.

ვირს კიდევ ის თვისებაც ჰქონია, რომ სხვა პირუტყვებს შველის. აი მზგაღითათ, ერთი კაცი რას გვიამბობს: «მე მყავდა ერთი პატარა ჯიშის ცხენი, რომელსაც საჯინობოში ვკეტავდი. მაგრამ ერთი რამ მაკვირვებდა, ცხენი უოველთვის ასერსებდა კარების გაღებას. ვერაფრით ვერ გავიგეთ, თუ როგორ სდებოდა ეს. ერთხელ მე თითონ ვუთვალთვალე და დავინახე, რომ ცხენი ურდულსა სწევს და თან სვიხვინებს, ამ სვიხვინსე მოვიდა ვირი, რომელიც ეხოში ბალახობდა, კბილებით ასწია კარის ურდულს და გაათავისუფლა ცხენი».

ვირი მეტათ გულღრმობა და ადვილათ არ ივიწიებს, თუ ვინმე ბოროტათ მოექცევა. კარგა ხნის შემდეგაც იცის მან სამაგიეროს გადახდა. ერთხელ ვირმა კბილი ჩაავლო ცერში ერთ კაცს, რომელსაც მისთვის დიდი ხნის წინეთ ეყუ-

მა. თითქო ვიწმა იგონო, რომ მისი მტერი მარტო იყო, არავინ მოეშველებოდა, ინარგებლბ ამით და ისე მავრათ ჩასჭიდა კბილი, რომ კაცმა სიმწარით დაიუვირა და ვიწს ცემა დაუწყო, ხან ცალი ხელით და ხან ფეხებით. ზირუტევი ცემას უურადღებს ან აქცევდა და, რაც შეეძლო უფრო და უფრო უჭერდა კბილებს. როდესაც კაცის ფერილსე მოირბინა მისმა მესობელმა, რომელიც ამისაებ ვიწის მტერი იყო, მხოლოთ მამინ განთავისუფლბ კაბრასებულმა თვისი მსხვერზლი.

ან. წერეთლისა.





## ბეტას ხსოვნას.



ანგელოზი ხორც-შესხმული,  
 მოგვევლინა ვით კამეტა,  
 მაგრამ ზეცამ საამქვეყნოთ  
 ბეტა აღარ გაიმეტა.  
 უკუიხმო მიწით ცაღვე,  
 საიღუმლო გამოცანა,  
 ანგელოზთა გუნდში, სადაც  
 შეჰგალობენ ღმერთს „ოსანა“.  
 იქ ნეტარობს წმიდა სული,  
 ღვთის მახლობლათ მოეღვარე,  
 მხოლოთ ჩრდილათ ეფარება  
 მის მშობლების ცრემლი მწარე.

აკაკი.



## „მეფეს სქინავსო“.

(ძველი თქმულება)



მეფე ადელბერტი მშვენიერი სანახავე ყმაწვილი კაცი იყო; მისი შავე ხუჭუჭა თმა, მუქი წაბლისფერი—ქვეიანური თვალები, თეთრ-წითელი ელფერი, მუდამ ღიმილით კეთილათ გამომეტყველი სახე—სასიამოვნო შესახედავ კაცათ აჩენდა მას. ამას გარდა ის მეტათ თაყ-დაბალი და კეთილი გულის ადამიანი იყო და არა მიუკარებელი, მძლავრი მბრძანებელი და ამიტომაც სამავალითო მმართველათ ითვლებოდა იმ დროის ხელმწიფეთა შორის.

მეფე ადელბერტი მის ქვეშევრდომთ გულთმისნათ მიაჩნდათ. სანამ მინისტრები წარსდებოდენ მეფის წინაშე მან უკვე იცოდა რაც ხდებოდა სახელმწიფოში; იცოდა რას თხოულობდა ხალხი, ეისი კმაყოფილი იყო და ეისი უკმაყოფილო. ეთქვათ ერთი მინისტრი და იწყებდა რომელისამე საქმის მოხსენებას:—„ვიცი, ვიცი!“ შეაწყვეტინებდა მეფე და თითონ უამბობდა უფრო დაწვრილებით, ეიდრე მინისტრის მოხსენებაში იყო. ხან-და-ხან ადელბერტმა ისეთი ამბებიც იცოდა, რომლებიც მინისტრებს ჯერ არ გაეგოთ. იმათ რცხვენოდათ, წითლდებოდენ, მაგრამ ვინ გაბედავდა ეკითხათ, თუ საიდან იცოდა მეფემ ყველა ეს. მეფე-კი ამაზე თითონ არას ამბობდა და მხიარულათ იღიმებოდა.

ადლებერტი ისევე ცხოვრობდა, როგორათაც იმ დროს სხვა მეფეები ცხოვრობდნენ: დილას მიიღებდა ხოლმე დიდკაცობას და მინისტრებს სათათბიროთ, მუშაობდა იმათთან ერთათ სახელმწიფო წეს-წყობილების გასაუმჯობესებლათ, ხელს აწერდა სხვა-და-სხვა ბრძანებებს და საქმის ქალაღდებს, იღებდა მომჩიერებს. შემდეგ ათვალთვარებდა ჯარს, ან დადიოდა სკოლებსა, თავშესაფარებსა და სააუთუყოფოებში. საღამოს-კი საზოგადოთ სასახლეში რჩებოდა და გარშემო სასახლის მსახურნი და დიდკაცობა ეხვია; კითხულობდა წიგნებს, ხან თამაშობდა ჭანდრაკს, ხან-და-ხან მუსიკასაც ისმენდა ხოლმე; ათასში ერთხელ სანადიროთაც დადიოდა.

მხოლოთ ერთი უცნაური ჩვეულება ჰქონდა ყმაწვილ მეფეს, მეტათ აღრე სადილობდა. ორ საათზე უკვე გათავებული ჰქონდა საღალი და ორი საათიდან შვიდ საათამდის შვიკეტებოდა მოსასვენებელ ოთახებში და ხმას არ იღებდა... იძინებდა. მისი გაღვიძება არავის შეეძლო. ყოველი ხმაურობა სასტიკათ იყო აკრძალული. თუ ვინმე დიდკაცთაგანი მოისურვებდა ამ დროს მეფის ნახვას, ან ვინმე საპატიო პირი გარეშე ქალაქიდან მოვიდოდა მეფის სანახავათ, ან და მეზობელ სახელმწიფოს ელჩი ეწვეოდათ — მეფის მოსასვენებელ ოთახების ზედამხედველი დიდებულთაგანი ყველას ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა:

„მეფეს სძინავსო!“

და ყველა სულ-განახული ელოდებოდა საღამოს შვიდ საათს. მთელ სასახლეში, აივანიდან დიდ დარბაზამდე, კიბეებსა და დერეფნებში ყველა ლანდებივით ფეხის თითებზე დადიოდა, ყველგან გაისმოდა ერთი და იგივე ჩურჩული: „ჩუმათ! მეფეს სძინავსო!“

მეფე, კი, როგორც შევიდოდა ოთახში, ჩაიკეტებდა კარს, მოიხსნიდა ბრილიანტებით მოჭედლილ ოქროს ჯაჭვს, გაიხიღდა სამეფო სამოსელს და ჩაიცივამდა უბრალო მუშის ტანისამოსს: სხეილი შალის შარვალს, შავი ტყავის ზედა-ტანს, სქელ ტყავის ჩექმებს და გაეკანებოდა სასახლის განაპირა ოთახისაკენ, საიდანაც არაფერი ხმაუ-

რობა არ აღწევდა სასახლეში მოსამსახურეთა ყურამდის. ამ ოთახში იდგა დურგლის დაზვა, რომელზედაც ყოველგვარი სადურგლო იარაღი ეწყა. ბუნარი მკვდლის ქურათ იყო გადაქცეული, მის წინ რკინის ფიცარზე იდგა პატარა კვერი.

ამ ოთახში მეფე—მუშა შეუდგებოდა მუშაობას: ხან ხერხამდა, ხან აშალაშინებდა ფიცრებს, აკეთებდა მაგიდას, სკამს. ხან აჩალებდა ცეცხლს და მარჯვით გამოჰყავდა კვერით: ცხენის ნალები, ლურსმები, რაზა-კოჭაკი, საკეტები და სხვა ამისთანა წერილობანი. ყველა ამავებს კეთილი მეფე მუქთათ ურიგებდა ღარიბებს.

ადელობერტი მეტათ ხალისიანათ მუშაობდა და თან დალილინებდა რომელსამე ხალხურ სიმღერას.

მეფე ადელობერტი, როგორცა ეთქვით, ჯან-სალი ყმაწვილიკაცი იყო და ამისთანა მუშაობა მას ბუნების მოთხოვნილებათ ჰქონდა გადაქცეული. ის დიდს ხალისით ატარებდა ორ საათს ამ ოთახში. და იმ დროს, როდესაც სასახლის ყოველ კუთხიდან კუთხემდე—ფეხის თითებზე მოსიარულე მოსამსახურენი და დიდებულნი ერთმანეთს ჩურჩულით აფრთხილებდნენ: „სსუთ, მეფეს სძინავს!“ აქ, ამ ოთახში, მეფისაგან მარჯვით მოქნეული კვერი აყრევიანებდა ნაპერწკლებს განურებულ რკინას, მისი გაწითლებული შუბლიდან წვეთწვეთათ გადმოდიოდა ოფლი, ეცემოდა კვერს, განურებულ რკინას და გაჰქონდა შიშხინი... და მეფე ამით დიდათ კმაყოფილი იყო, ბედნიერი...

ამ მუშაობის შემდეგ მეფე მეტათ კარგ გუნებაზე იყო ხოლმე. თითქო ყოველსავე ჯაერსა და უსიამოვნობას სამეფო სამოსელსა და ბრილიანტებით მიკვდილ ჯაქთან სტოვებდა და სიამოვნებით ეძლეოდა მუშაობას, მაგრამ ამ ფიზიკურ სასიამოვნო მუშაობაშიაც არ ავიწყებოდა თავისი სამეფო და, ხშირათ, სწორეთ აქ მოიფიქრებდა ხოლმე სახელმწიფოს სასარგებლო ახალი წესის შემოღების გეგმას, ან რომელისამე კანონის შეცვლას.

როდესაც ანებებდა მუშაობას თავს მხიარული მუშა—მეფე თავ-



ზე ჩამოიცივამდა ქერა პარიკს, დაიხურავდა შავ ქუდს, როგორსაც იმ დროის მუშები ხმარობდნენ, ჩაიდებდა პირში მოკლე ტარიან ჩიბუხს და გამოვიდოდა სასახლიდან საიდუმლო კარით. არხვინათ მიაბიჯებდა ნელის ლილინით ყმაწვილი მუშა სასახლის ბალის დაბურულ ხეივნებს შუა, არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ის თავისუფლათ მიადგებოდა ბალის ერთ მიყრუებულ კუთხეს და შეუმჩნეველათ საიდუმლო კარითვე გაჟიდოდა ქუჩაში.

\* \*  
\*

ჯიბში ხელემაჩყოფილი, პირში ჩიბუხით თავისუფლათ დაიარებოდა ქუჩებში ადვლბერტი, როგორც ნამდვილი უბრალო მუშა, რომელიც მთელი დღის მუშაობის შემდეგ აქეთ-იქით დაეხეტება, ისვენებს. როგორც მიუახლოვდებოდა დიდ მოედანს მეფე გაერეოდა ხოლმე ხალხში და ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს. ერთხელ ამ მოედანზე მეფემ ყური მოჰკრა ხალხის ლაპარაკს, რომლებიც ერთმანეთს უამბობდნენ, თუ როგორ გააძვირეს ვაჭრებმა პური. მეორენი ჩიოდნენ, რომ ლამის დარაჯები უწესოთ იქცევიან და არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობასო.

— აი, წუხელისაც კიდევ ვილაც გაუქურდათ! წარმ ათქვა ერთმა — დარაჯებს-კი იმ დროს ტკბილათ სძინებიათ!

მეორე დღესვე მეფემ ისეთი განკარგულება მოახდინა, რომ პური გააიაფეს. დარაჯებმაც გაფაციცებით დაიწყეს ღამე თხიზლობა.

მეფე ამ სიარულის დროს საზოგადო სასტუმროებსა და ყაფახანებშიაც შედიოდა, მოიკითხავდა ერთ ჭიქა ლეინოს ან ლუდს, იჯდა და ხალხის ლაპარაკს ყურს უგდებდა. და სწორეთ აქ ბევრი ისეთი რამ ესმოდა, რასაც თავისდღეში ვერ შეიტყობდა სასახლეში რომ მჯდარიყო; მუშას ყურადღებას არავინ აქცევდა და თავისუფლათ ლაპარაკობდნენ ყველაფერზე. ერთ დროს აქ გაიგო მეფემ, რომ ერთი

სახელმწიფო ხარჯთ ამკრეფი უზომო ქრთამის აღებით ხალხს მეტათ ავიწროებსო.

— იმ მსაჯულისა არ იყოს! რა უკანონოთ ასამართლებს მომჩინებებს. — განაგრძო მოამბემ; — ის მსაჯული-კი არა, ხალხის მტერია, ბრალიანისა და უბრალოს ბრალმდებელი.

— მოწყალეო ხელმწიფე! თემდაბლათ შეეკითხა მუშა — მეფე მოამბეს — არ შეიძლება მითხრათ სახელი და გვარი იმ მსაჯულისა და ხარჯთ-ამკრეფისა?

მოამბემ მაშინვე დაუსახელა ერთიც და მეორეც. მეფემ მალეობა გადუხადა და განაგრძო ლულის სმა.

ორი დღის განმავლობაში გამოიძიეს და დამტკიცდა, რომ მსაჯულიც და ხარჯთ-ამკრეფიც უწესოთ იქცეოდნენ და მეფის ბძანებით ორივე დაითხოვეს სამსახურიდან.

ხან-და-ხან ადელბერტი ქუჩის ჩხუბშიაც გაერეოდა ხოლმე. მაგალითათ ერთხელ დანახა, რომ სამი მოსწავლე აწვალებდა ერთ მოსწავლე ყმაწილს, რომელიც თავის პატარა დასთან ერთათ სახლში ბრუნდებოდა; მეფე მაშინვე ჩაერია, მაჩხუბრები გარეკა და დაჩაგრულები სახლამდის მიაცილა.

ერთხელ ისეთი საქმე დაემართა ადელბერტს, რომ დიდხანს ასოვდა და ყოველთვის ეცინებოდა, როდესაც მოიგონებდა ხოლმე.

სასახლეში რომ ბრუნდებოდა მუშა — მეფემ შენიშნა ერთი მოხუცი, ჭუჭყიანათ ჩაცმული დედაკაცი, რომელსაც სასახლის ბაღის ერთ კუთხეში გაეშალა საწვრილმანი: მძივები, პატარა სარკეები, უბრალო ბეჭდები, ქამრები და სხვა ათასი რამ უბრალო წვრილმანი. ბებერი რალაზნედაც ბრაზობდა და ილანძღებოდა.

— იმას რა! რა ჩენი ჯავრი აწუხებს! — ბუტბუტებდა ბებერი — სასახლეში ჯდომას და ბრძანებებზე ხელის მოწერას რა სჯობს... ამას დიდი რამ არ უნდა! ერთი ცოტახანს ჩენთან იცხოვროს, ჩვენ ქერქში იყოს, მაშინ გაიგებდა რა ცხოვრებაა ჩენი ცხოვრება.

მეფე — მუშამ ყური მოჰკრა ბებრის ლაპარაკს და მაშინვე შე-

ჩერდა. მეფე ცნობის-მოყვარეობით ათვლიერებდა ბებრის საცოდავთ მოკმანხულ-გაბრაზებულ პატარა პირის სახეს, გათეთრებულ თმას და მიმკრალეზულ-ჩაღრმავებულ თვალებს.

— დიდდა! აგრე ძალიან ეის უწყურები? დაეკითხა ადელბერტი.

— ვისა?! ვისა და აი, იმა!... მეფეს! მაშ სხვას ვის!.. გაბრაზებით წაიბუტბუტა ბებერმა.

— რაზე უწყურები, იმას, ბებია? კიდევ შეეკითხა ღიმილით მეფე.

— რაზე? რაზე და იმაზე, რომ ის მეტათ გაუმაძღარია. დაბძნებულა სასახლეში და ყველაფერი უნდა მზათ მიერთვას. ჩვენს ამბავს-კი არა კითხულობს! — ბრაზობდა მოხუცი — რა ცხოვრებაა ჩენი ცხოვრება. შენ თვითონ იცი, ჩემო კარგო, რომ ბეგრჯელ მთელი კვირა გავა ერთი გროშისაც ვერა გავყიდოთ. რა, იმას-კი უკლებლათ უნდა ვაძლიოთ გადასახადი! ეს სამართალია?

— მეფემ თქვენი საქმისა იქნება სულ არა იცის-რა! იმას ხომ ათასი საქმე აქვს გადასაწყვეტი? რატომ არას შეატყობინებთ! მე გავიგე, რომ...

— ეჰ, კარგი ერთი თუ ღმერთი გწამს! არა იცის რა, დიხ! გაბრაზებით გააწყვეტინა მოხუცმა — ჩენი საქმისაც თუ არა იცის-რა მაშ რილას მეფეა! ჩემო კარგო, იმას შენი ვეჭილობა არ ეჭირება! შენ თუ რისამე ყიდვა გინდა — იყიდე, თუ არა-და შენ გზაზე წადი.

მეფემ ამოარჩია ერთი უბრალო ქამარი, გადუგდო მოხუცს ერთი ოქრო და საჩქაროთ გაშორდა. ბებერმა გოცებით დააჭყიტა თვალეზა ოქროს და ღიმილით თავი გააქნ-გამოაქნია.

— ოჰო! ალტაცებით წაილაპარაკა მან — ხედავთ! ეტყობა გროშები უშოვია ამ ყმაწვილკაცს!.. გამდიდრებულა! ნაშალის გამორთმევეც რომ აღარ იკადრა!!

მესამე დღეს გამოვიდა მეფის ბძანება, რომლის ძალით ქუჩაში მოვაკრე მოხუცი ქალი და კაცი სახელმწიფო გარდასახდისაგან განთავისუფლებულ იქნენ.

მუშა — მეფე ამ სიარულის დროს ბოლოს ეწეოდა ხოლმე სა-

სახლის ერთ განმარტოვებულ ოთახში მყოფ საყვარელ მაიმუნს — მიკოს და ორ პატარა ძაღლის ლეკვს, რომლებიც აქ მეგობრულათ ცხოვრობდნენ. ამ ოთახში მრავალი ყვავილები და მწვანეთ გაბიბინებული ხეები იყო თავ-მოყრილი, ზედ ისხდნენ სხვა-და-სხვა მგალობელი ფრინველები და საამურათ ჭიკჭიკობდნენ. აქვე დაფრინავდა მეფის საყვარელი თუთიყუშიც. აქ მეფეს სრულიად აფიწყდებოდა, რომ ის იყო ვაჟაკი, მმართველი სახელმწიფოსი და როგორათაც პატარა ბავში დაიწყებდა თამაშობას ლეკვებთან და მაიმუნთან; დარბოდა, უკრავდა ტაშს და არბეინებდა ლეკვებსაც, რომლებიც სირბილის დროს ხან აქ წაჰყოფდნენ ცხვირს იატაკზე ხან იქ. ხან მაიმუნს დაუწყებდა დევნას, რომლის დაჭერას ადვილათ ვერ ახერხებდა. მეფის სირბილი, ტაშის-ცემა, მაიმუნის ბლავილი, ლეკვების წკაქვავი, დამფრთხალ მგალობელ ფრინველთა წრიბინი, თუთიყუშის ხმა, რომელიც თვალს ადევნებდა მეფის სირბილს და ერთთავად გაიძახოდა: აბა, ჰე! აბა, ეჰო! ისეთ ხმას აყენებდა, რომ აწერა შეუძლებელია. მეფეს-კი ეს ახარებდა!.. ასიამოვნებდა.

ამავე დროს იქ, სასახლეში, დერეფნიდან მეფის საბჭოს დარბაზამდე, კიბეებსა და შესავალ-გასავლებში, ერთის სიტყვით მთელს სასახლეში ყოველ წაშს ყველასაგან გაისმოდა ჩუმი ჩურჩული:

„სსსუთ!.. ნელა!.. მეფეს სძინავსო!“

ბოლოს მეფე ხალიჩაზე გაკორდებოდა და თავის ოთხ-ფეხა მეგობრებს ნებას აძლევდა, როგორც სურდათ ისე ეთამაშნათ. ლეკვები ჯერ გაუბედავით და მერე თან-და-თან უფრო თამამათ ებლაუჭებოდნენ მის ტანისამოსს, სიამოვნებით წკმუტუნებდნენ და ეწეოდნენ აქეთ იქით, ბოლოს ფეხებზე ასხდებოდნენ, შემდეგ წელზე და თამამათ გადად-გადმოდიოდნენ ზედ. მაიმუნი ხან ყელზე შემოხვევდა ხელებს, ხან აღერსით კატასავე აქეთ-იქით ნიკაპზე ეგლასუნებოდა, ხან მოხდიდა პარკს და მობრუნებით ისევე დახურავდა, ხან თითონ დაიხურავდა თავზე და სიხარულით იგრიბებოდა, იმანჭებოდა, აქეთ-იქით ხტოდა.

\* \*  
\*

როდესაც შეიდ საათს ერთი მეოთხედი აკლდა მეფე გამოეთხოვებოდა თავის საყვარელ პირუტყვ მეგობრებს, გამოართმევდა მიმუნს პარიკს, დაიხურავდა თაეზე და გაეშურებოდა თავის მოსასვენებელ ოთახში, ისევე საიდუმლო კარით, აქ საჩქაროთ იხდიდა მუშის ტანისამოსს; ჰყეტავდა კედლის საიდუმლო განჯინაში, ჩაიცვამდა სამეფო სამოსელს, ვადიკიდებდა ბრილიანტებით მოჭედებულ ჯაქეს, ჩაჯდებოდა საეარძელში და დაუკრავდა ზარას.

იმ წამს მის წინ გამოიჭიმებოდა სასახლის მსახური დიდებულთაგანი და თაე-მდაბლათ დაეკითხებოდა:

— ხომ კარგათ მოისვენეთ, თქვენო ხელმწიფებითი უდიდებულესობაე?

— კარგათ მეძინა! ძალიან კარგათ! ღიმილით მიუგებდა მეფე და ვადისვამდა შუბლზე ხელს.

და მართლაც კარგათ გრძნობდა თაეს. ქუჩებსა და მეიდნებზე თაეისუფლათ სიარული, ხალხთან მეგობრული მუსაიფი, მიკოსთან და ლეკვებთან თამაში მეფეს ისეთ კარვ გუნებაზე აყენებდა, რომ იგი სრულიად დასვენებული, გამაგრებული შეუდგებოდა ხოლმე სამეფო საქმეების გარჩევას.

— იქ რალა ამბაეია? მეღის ვინმე? იკითხაედა მეფე. და მიუთითებდა სამეფო დიდ დარბაზისკენ.

— გელიან ხელმწიფეო! მიუგებდა კარის-კაცი.

— წადი, შეატყობინე, რომ მოვდივარ.

დიდებული ვაბრუნდებოდა და მეფე ადელბერტი ყოველთაის ერთსა და იმაეეს გაიფაქრებდა ხოლმე.

— რა მეშეელებოდა, რომ ორი საათიდან ამ შეიდ საათამდე არ ვისვენებდე, თაეისუფლათ არ ვატარებდე დროს. დარწმუნებული ვარ ერთ კვირასაც ვერ ვიმეფებდი, ძალა არ მექნებოდა სახელმწეფოს მართეა-გამეგობისათეისო.

ს. ციციშვილი,

(თარგმანი)

## თ ა გ ვ ი.

(ნამბობი ზოოლოგი ბაგდანოვის მიერ).



ას აქეთ კარგა ხანმა გაიარა, როცა ჩემი ბებერი ვა-  
 ღია დაძინების დროს მიამბობდა ხოლმე ხარაბუხასი  
 და წრუწუნა თავის ამბავს.

მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, ასე რომ ხეირია-  
 ნათ ლაპარაკიც-კი არ ვიცოდი. კარგათ მახსოვს, რომ ამ ზღაპარმა  
 მთელ ღამეს მოსვენება არ მომცა და არ დამაძინა. საშინლათ მინ-  
 დოდა ამ წრუწუნა თავის ნახვა. ამის შესახებ კითხვას ვერ ვახერ-  
 ხებდი, თუმცა გულითა მსურდა შემეტყო, თუ რა სულიერი იყო  
 ეს პაწაწა არსება.

ბებრმა ხანმა გაიარა თუ ცოტამ ეს აღარ მახსოვს. მხოლოდ  
 მახსოვს-კი, რომ საერძელში ვიჯექი და დედოფლებს ეთამაშობდი.  
 გამდელი რილასთვისაც გარეთ გავიდა. დავრჩი მარტო. ერთიც ვნა-  
 ხოთ კამოდის ქვეშედან რალამაც ცხერი გამოჰყო, ისეთი ლამაზი  
 იყო, რომ თვალი ველარ მოვაშორე: ფერი ნაცრისა ჰქონდა, თვა-  
 ლები შავათ გამოიციქირებოდა და ყურები აცქვეტილი ეჭირა. მე  
 ცოტა არ იყოს შეეშინდი. სული გაეკვინდე. ამასობაში ის ცხერი  
 შეინძრა და წინ წამოვიდა, გამოჩნდა ნაცარა ზურგი და გრძელი კუ-  
 დიც. საშინლათ მინდოდა ხელი მეტაცნა, მაგრამ ჩემი განძრევა იყო  
 და მისი გაქრობა. ოხ! რანაირათ დამწყდა გული!

შემოვიდა გამდელი. ყველაფერი ვუამბე: — „ეგ ხომ თავი ყო-

ფილაო!" მითხრა გამდელმა. „მაშ ეგ არის თავგი წრუწუნა-მეთქი?“ შევეკითხე გამდელს.

ბერმა ხანმა გაიარა, ვიღრე გავიცან თავგი. უკვე დამაფიწყდა გადიას ზღაპარი. მხოლოდ ახლა შემიძლიან ეთქვა, რომ „თავგი ყბე-ლია“ და „თავგი ღიღინა“ ნამდვილათ არსებობენ.

დაახლოვებით გაცნობამ ზოგიერთებივით-კი არ შემადქულა თავ-გი, პირ-იქით დაფუმგობრდი კიდევ. ის მეტათ კონტა, ლამაზი და ჭკვიანი მხეცუნაა; არაფისთან დანაშაულობა არა მიუძღვის-რა, მე-ტადრე ადამიანთან, რომლის ახლოსაც, საცოდავმა მუქთა ბინა იშო-ვა და მუქთი საჭმლით იკვებავს თავს და ამაში ეინ არის დამნაშა-ვე? ადამიანი თუ თავგი?

იყო ღრო, როდესაც თავგები თავისი ნათესავი მინდერის და ტყის თავგებსავით განცალკევებით ცხოვრობდენ, მათ ეშინოდათ კა-ცისა ისე, როგორც სხვა გარეულ მხეცეზს ეშინიანთ და ძალიან შორს ეჭირათ კაცთან თავი. მაგრამ დადგა შემოდგომა, გაჰუღმებულ-მა წვიმამ მიწა სრულებით გაჟღინთა წყლით, წყალმა თავეს სორო მოუშალა და ცოტა არ იყოს ნაცრისფერი ქათიბი დაუსყელდა. იგი შეუძლოთ შეიქნა, სიცვიისაგან კბალები უკაწკაწებდა და შიმშილით გული ელევოდა. რის ვაი-ვაგლახით მილასლასდა ევლურ კაცთან და მისი ქოხის კედელთან მიიკუნჭა. ქოხის შუაგულ ღიდი ცეცხლი ენთო და გარშემო ქოხში ყველგან სითბოს ჰფანტავდა.

სახლის პატრონი და მისი ჯალაბი ცეცხლს შემოსხდომოდენ და ვახშამს შეექცეოდენ. მათ შორი-ახლო თავგიც თბებოდა და თან შურიოთ თვალები ებრიცებოდა საჭმელს რომ ხედავდა. გათავდა ეახ-შამიც; ყველა წაიღ წამოვიდა დასაძინებლათ. ცეცხლიც ჩაქრა, თუმ-ცა სითბო ისევ ტრიალებდა ქოხში. სიწყნარე რომ შენიშნა თავუ-ნიამ გამხნედა, გამობრძანდა ფრთხილათ ჭუჭრუტანიდან და და-იწყო სასუსნის ძებნა. ოჰ, ბედნიერებაე! უეცრივ პურის ნამცეცს წა-აწყდა და ხარბათ შეცუტუნა. იპოვნა მეორეც, მესამეც და ისე გა-მოძღა, რომ თავის დღეში ასე არ გამაძღარა. ამ ღროს ეილაც შე-

ინძრა და ახმაურდა; თავზარ დაცემული თავი გაექანა, შეძერა ჭუჭრუტანაში და მიიმალა. რაკი საცოდავმა, თავს უშველა ტკბილათ ჩაეძინა. სიზმარშიაკ-კი ის პურის ნამცეცები ებლანდებოდა.

გათენდა. ისევ ისე წვიმდა. თავი ისევ მინდვრათ გაეარდა, თავის სოროსაკენ, მაგრამ ისევ მთლათ გაიწუწა, მისი მშვენიერი ქათიბი ტალახში ამოიგუნგლა და იძულებული გახდა ისევ იმ ველური კაცის ქოხში დაბრუნებულიყო. მიიმალა ისევ კუნჭულში და იქიდან ქოხის მოწყობილებას დაუწყო თვალღებვა. იქ ხალხი მიდი-მოდოდა, მუშაობდა; მათ შორის ძაღლებიც დაწინწალებდნენ და ნასუფრალით თავს იქცევდნენ. საღამოს შუა კერაზე ცეცხლი ისევ აპრიალდა. ადამიანებმა ცეცხლის ახლო იწყეს ტრიალი; ქვაბში რაღაც ჩაპყარეს, მერე ამოიღეს, მოუხსდნენ სუფრას და გუშინდელივით ჭამა დაიწყეს. ცოტა ხანს შემდეგ ისევ განსვენებას მიეცნენ. ცეცხლი ხან ძლიერდებოდა და ხან ნელდებოდა. ბოლოს-კი სულ მთლათ ჩაქრა. თავი სამალავიდან უფრო თამამათ გამოვიდა. მიათვალ-მოათვალეირა ქოხი, ერთი კუთხე არ დაავდო გაუშინჯავი. ცეცხლაპირას დაყრილ ნამცეცებს გემრიელათ შეექცა. ესეც არ იკმარა თავუნამ და ერთ გამოფულრულ ხეში პურის მარცვლებსაც მიავგნო; ამითიც რომ პირი ჩაიგემრიელა სრულიად ბედნიერათ გრძნობდა თავს. გათენდა მეორე დღეც. მზე ბრწყინვალეთ ანათებდა ზაფხულსავით, სიცხე ძალიან აჭერდა. ჩენი თავუნია ისე განებოვრდა აქ ყოფნით, რომ აღარ ინება მინდვრათ—თავის სოროში წასვლა. გადიოდა დღეები. თავი თან-და-თან ეჩეოდა ახალ ბინას და ახალ პატრონებს. ამან კარვათ გაიგო, სად ინახებოდა საჭმლები და თამამათ და უშიშრათ მიდი-მოდოდა ყველგან.

წარმოიდგინეთ თავის გაბედულობა! ერთხელ დღისითაც მონდომა ქოხში გამოსვლა საჭმლის საშოვნელათ. მაგრამ ამ გაბედულებამ კინალამ სიცოცხლეს გამოასალმა: უეცრივ წამოვარდა ერთი ბანჯგელიანი ძაღლი და წაეტანა დასაჭერათ. თუმცა თავმა თავს უშველა, მაგრამ ისე-კი შეეშინდა, რომ მთელ ღამეს და მეორე დღე-





საც ადგილიდან ველარ დაიძრა. მხოლოდ მეორე ღამეს, შიმშილმა რომ შეაწუხა, ისევ გამოძერა სანადიროთ; კარგა ჭამა, სეა და ისევ სოროში შეიმალა.



გავიდა ღრო. ზამთარი მიიწურა. დადგა გაზაფხული, მას მოჰყვა ზაფხული. თავი ამხანაგთან წაეიდა. დაწერილშიეილდა. სცადა ერთი კიდე თავისუფლათ ეცხოვრა, მაგრამ ცოტა არა ძნელი დაბრკოლება გადაეღობა წინ. კაცს რო ბედი არ ექნება, სწორეთ ისე იყო თავისი საქმე: ამ წელიწადს საშინლათ გამრავლდენ თავისი სისხლის მსმელი ცხოველები: ზღარბი, დედოფალა, გველი და სხვა. ამ შეწვევებულეებმა შვილები სულ მთლათ გაუწვიტეს. დარჩა მარტო და ისევ იმ ველურ კაცის ქოხს მიაშურა და სამუდამოთ იქ დაბინაედა. არც შესცდა თავუნია, მას ბედმა აქ ძალიან გაულიმა, საქმელი თავზე საყრელი ჰქონდა; მტერიც აქ არ მოიდიოდა, რადგან თითონეე ეშინოდა კაცისა და ქოხს ახლო ვერ ეკარებოდა. დაიწყო თავემა არხეინათ ცხოვრება, მოიწვია ამხანაგიც და ხელ-ახლათ დაკოლ-შვილიანდა და სიბერემდის თავისი ღლენი ტკბილათ გაატარა.

გაიარა კიდეე კარგა ხანმა შვილები და შვილი-შვილები შეეჩვიენენ ადამიანს. თავეებს სრულიად გადაევიწყდათ მინდორიც და ტყეც. ადამიანთან თუმცა კარგათ გრძნობდენ თავს, მაგრამ ბოლოს გამოცდილებით დარწმუნდენ, რომ არც კაცი იყო მათთვის უენებე-

ლი. თავისუფლათ ცხოვრებამ, კარგმა ქამა-სმამ თავების გამრავლებას ძალიან შეუწყო ხელი. რამდენათაც თავი მრავლდებოდა იმდენათ კაცს სანოვავე აკლდებოდა. ბოლოს კაცმა ამას ყურადღება მიჰაქცია და ქურდ-ბაცაცები დაიჭირა. დაუწყო კაცმა თავებს დენა; სადაც-კი მოასწრებდა სულ მუსრს ადენდა. ძაღლებიც-კი გადაამტერა. სოროებსაც ამოლესავეა ხოლმე. ბოლოს კატაც შეიჩვია. სანოვავეს გაუთხილება დაუწყო, მაგრამ გვიან-ღა იყო. თავი ისე გაშინაურდა ქოხში, რომ მისი იქიდან გამოდენა შეუძლებელი განდა. იგი კაცს ფრიდებოდა, ემალებოდა, ყოველ მის მოძრაობას თელყურს ადევნებდა, ძაღლს და კატას გაუბრბოდა, მთელ დღეს სოროში ატარებდა. სამაგიეროთ ღამე გამობრძანდებოდა სოროდან და ქოხში თავისუფლათ დათარეშობდა. მისი ბასრი კბილები ყოველგან ადვილათ იკვლევდა გზას, ბასრი ბრჭყალები თავს დიდ სამსახურს უწევდნენ სასუსნის შოვნაში. ასე ნელ ნელა ისე გამოიცადა თავი რომ სულ მთლათ დაეპატრონა ადამიანთა სადგომებს. ახლა მას ვეღარ უმაგრდება ვეღარც მაგარი იატაკი, ვერც სახლის კედლები და კარებები, ხერხტავს და შედის შიგ თუ შიგნით სასუსნაეი დაიგულა.

აი ეს არის სანთელი გაქრა, ყველა მილაგ-მოლაგებულია. სახლებში სრული სიჩუმეა! ამ ღროს აქეთ-იქით კუთხეებში მოისმის ფხაკური. ვაი თქვენნი ბრალი, თუ ეს ფხაკური შემოგესმათ! გაგიტყდებათ ძილი და მთელ ღამეს უნდა უძილოთ გაათენოთ! მეტათ ჯიუტია თავი, თუ თქვენ კამოდში რამე სასუსნი დაიგულა, მაშინ უყურეთ იმას!—მოკვდება და მიავნებს-კი. მივა ახლო, ახედ-და-ხედავს, აქ უსუნავს, იქ დასუნავს, მოიმარჯვებს კბილებს და უეჭველათ იპოვის იმისთანა ადგილს, სადაც უფრო ადვილი გამოსადრღნელია. შეიქნება კბილების მუშაობა. ღრღნის ერთ ორ საათს, მთელ ღამეს, დღისით მიიმალება და ღამე ისევ განავრძობს მუშაობას, არ შეჩერდება ვინემ ხუხრუტანას არ გააკეთებს და არ გამოძდება კამოდში ჩალაგებული სანოვავეთ! ხშირათ ისე მოიკალათებს,

როგორც ნამდვილი დიასახლისი. ეს-კი თქვენი ბრალია: რატომ მაშინვე არ მიაქციეთ ყურადღება თავუნიას ფხაკა-ფხუკს? რატომ დროზე არ შეაჩერეთ ის ქურღაბაცაცა? თქვენ გეზარებოდით ადგომა თბილი ლოგინიდან, არა? იმის მაგიერ, რომ ამდგარიყავით ოცჯერ მაინც დაუბრაზუნეთ იატაკზე ჯოხი თავუნიას, მაგრამ არ გისმინათ. ახლა გამოსწიეთ კამოდის უჯრას! თქვენი მშვენიერი თეთრეული, რომლებსაც ჩასაცმელათ ვერ იმეტებდით, სულ მთლათ დაკუწულია, ისე რომ დაკერებაც-კი ველარ მოხერხდება. აქ თავგს არხვინათ ბუდე გაუკეთებია, ამ ბუდეში შეიდი ბრმა ტიტელიკანა თავგის წრუწუნა ღლაპი ფუსფუსობს. ახლა, როგორა გგონიათ, ვინ არის დამნაშავე — თქვენ, თუ თავგი? თქვენ ამ წრუწუნებზე იყარეთ ჯავრი, მერე აქედან რა გამოვიდა? თავგი ხომ ცოცხალი გადარჩა და გჩვენებთ სვირს! იგი ისევ შეიპარება საკუჭნაოში და თავის წილს სანოვავს კიდევ გაიტანს. თქვენ ხომ დიდის სიფრთხილით ჩამოჰკიდეთ ჭერში მიჭედლილ ლურსმებზე ღორის ღორები. აბა ახლა ნახეთ ის. სუქანი ბარკალი, როგორ არის გამოხრული. ეტყობა ვილასაც მოსწონებია! ოჰ, რა საზიზღრები ხართ თავგებო! — გაიძახით თქვენ. ერთი მიბძანეთ, მამ რისთვისა გყავთ სახლში კატა? რას გიკეთებთ ეგ ნებიერი ხრუტუნა, კერაზე, რომ თბილათ მიწოლილა? მგონია მაგათი საქმეა თავგების ჭერა. საქმით-კი სულ სხვა გამოდის: ეგ ვაჟბატონ-ქალბატონები ნებირობაში ატარებენ თავიანთ ცხოვრებას, ღრუტუნი გაუდით და თავგი-კი თავისუფლათ დათარეშობს ყველგან; საწოლ ოთახში, წიგნების საწყობებზე, საკუჭნაოსა და სამზარეულოში, სარდაფსა და ბოსლებში, ერთის სიტყვით ყველგან, სადაც-კი რამე საქმელი ეგულება. ვიღრე ადამიანი სახლში ტრიალებს თავგები მხოლოდ შენახულ სანოვავს ეწვევიან ხოლმე და თუ სახლი დაცალიერდა, კარი დაიხურა აბა მაშინ ნახეთ თავგების „ვარხალალოს“ ძახილი, ნამდვილი აღდგომა უთენდებათ. მათ მხიარულება, საზღვარი არა აქვს, რასაც-კი მოიხელოებენ ყლაჭანს ადენენ მუცელში. თავგი მე-

ტის-მეტათ მალე მრავლდება. თუ საქმელი ვერ იშოვეს მაშინ ვაი სახლის ავეჯის ბრალი. ფეხსაცმელებს, წიგნებს, ლოგინს ყველაფერს ანადგურებენ, ანტერევენ, ხევენ თავიანთი პაწაწა კბილებით.



რალა თქმა უნდა, რომ ამ ამბების შემდეგ კაცს თავგი არაფრათ ექაშნიკება. მაგრამ მე თქვენა გკითხაეთ: განა თავგია დამნაშავე, რომ ამასაც ცხოვრება უნდა? კაცმა ეს მოახერხა რომ თავგების გასაწყვეტათ კატა გაიშინაურა, კატა სახლის თაიგულათ გადიქცა, მაგრამ თავგებს-კი მაგდენი არა დაჰკლებიათ-რა. თქვენ რომ ციცუნინებს ქადები აჭამოთ, ყოველ დღე შემწვარი ხორცითა ჰკვებოთ, ის მხოლოთ კნაილს მოჰყვება, ნაზათ ფეხებში გაგიგორდებათ და თავგებზე ნადირობა ფიქრათაც აღარ მოუფა. თუ დაეუკვირდებით თავგების ცხოვრებას, შეენიშნაეთ, რომ თავგებს უფრო ძლიერი და საშიში მტრები ჰყავთ, ვინემ ჩენი ნებიერი ციცუნიაა. სოფელში, სახლებსა და სარდაფებში და ბედლებში, სადაც მრავლათ დაფუსფუსებენ თავგები, შებრძანდებიან ხოლმე მთის პატარა დედოფალები, თრითინები. ამ შენობის ბანებს ხშირათ ესტუმრება ხოლმე თავგების დაუძინებელი მტერი ზუც. აი, ესენი არიან თავგების უფრო მძლავრი მტრები ვინემ კატა. გაჩნდება თუ არა დედოფალა სახლის ახლო-მანლო—ვაი თავგების ბრალი. მისი გაწერილებული ტანი, თავისი მოკლე ფეხებით ყველგან გაძვრებ-გამოძვრება, თვით თავგის სოროშიაც-კი და მთლათ მუსრს აელებს თავგებს.

ბალში ან ბოსტანში რომ 'შევიდეს თავი საქურღლათ აქაც უზრუნველ ყოფილი არ არის, საცოდავი, იგივე მტრები უდარაჯებენ გარეთაც. ამათ გარდა თავებს ბალში ძალიან ემტერება ეკლიანი ძღარბიც.

ჩვენ შეგვიძლიან ვებრძოლოთ თავებს ამნაირათ: გამოვამსოთ ხოლმე ის ხუზრუტანები, რომლებიც თავებმა ამოღრღნეს, სანოვაგესაც ნუ დაეტოვებთ შეუნახავათ და მაშინ გარწმუნებთ აღარც ერთი თავი აღარ დარჩება ჩვენ საკუქნაოში.

ამას შემდეგ შეიძლება ეს პაწაწინა არსება შეგვიყვარდეს კიდევ; გარწმუნებთ, რომ შესაძლოა შეგვიყვარდეს იგი. თავი გაგართობთ კიდევ თავისი სიმარდით. მხოლოდ ამასა გთხოვთ ძალიან ფრთხილათ მოექცეთ, აღერსიანათ, ნუ შეაშინებთ და მალე ისე შეგეჩვენეთ, რომ თქვენთან ახლო მოვა და საკმელსაც-კი მიიღებს თქვენის ხელიდან. გფიცებით, რომ ეს საზიზღარი მტერი უფრო დიდ კმაყოფილებას მოგანიჭებთ, ვიდრე უგუნური მჩხავანა კატა და ბორბოტი და შურჩიანი მაიმუნი.

ეთქვათ ახლა, რომ ხელში ჩაგივარდეთ ერთი ჯურის თავი, რომელსაც ღიღინა თავს ეძახიან, დარწმუნებული ვარ იმას არც ერთ სხვა ცხოველებზე არ გასცვლიდით. ეს არის მხოლოდ საწყენი, რომ ამისთანა თავებს იშვიათათ შეხედებით და უმეტესათ ნასწავლი კაცების წიგნებიდან თუ შეიტყოთ რასმე ამ შესანიშნავ თავუნიაზე.

ერთხელ, ოცი წლის წინეთ, სალამოქამს ვიჯექი და წიგნსა ვკითხულობდი. ყველას ეძინა. ჩემს გარშემო სიჩუმე იყო. უეცრათ რაღაც სიმღერა მომესმა, რომელიც ხან იადონის ხმას მივამგზავს ხან სხვა ფრინველისას. მე ამან ძალიან გამაკვირვა. ვიცოდი რომ სახლში ფრინველი არა გყავდა. დაეუგდე ყური—რაღაც მღერის ჩემ ოთახში და ისიც წიგნების შკაფში, მაგრამ ჩემი განძრევა იყო და სიმღერა შეწყდა. ისევე გაჩუმდი. და ერთი ხუთი წუთის შემდეგ ხელ-ახლათ შემომესმა მხიარული კრიალა ხმა, მხოლოდ ახლა-კი

ტახტის ქვეშ. ახლა-კი ნამდვილათ დაერწმუნდი, რომ ეს ის მოლი-  
ლინე—უბედია თავი იყო, რომელსაც დიდიხანა დაეცხბდი; გადა-  
წყვიტე უეჭველათ მისი შეპყრობა. დაულაგე ყველა კუთხეებში  
მანეები და რამდენიმე დღის შემდეგ მოემწყვედა თავები, მაგრამ სა-  
მწუხნაროთ იმათში არ იყო ის თავი, რომლის დაქერაც მინდოდა.  
ბოლოს გამიღიმა ბედმა და დაეიჭირე, ჩავამწყვდიე გალიაში და მა-  
ლე, ძალიან მალე დაეტკბი მისი სიმღერითაც.

თვით თავი არაფრით არ იყო შესანიშნავი, ჩვეულებრივ თავე-  
სა ჰგავდა, სიცქეიტით და სიმარდით. მან ჩემთან ნახევარ წელიწადს  
იცხოვრა; მალე შეგვეჩვია, მოშინაურდა, მხოლოდ უბრალო ხმაუ-  
რობაც-კი შეაშინებდა ხოლმე. ბუდეც გაიკეთა ბამბისაგან და მთელ  
დღეს იჯდა შიგ ჩუმათ, მაგრამ დაღამდებოდა თუ არა, ხმაურობა  
შეწყვდებოდა და ყველა მიიძინ-მოიძინებდა, ჩვენი თავგუნია არხეი-  
ნათ გამოდიოდა ბუდიდან სჭამდა, სვამდა, პირისახესა და ქათიბს მო-  
იწმენდა, შევიდოდა ისევ გალიაში, იწყებდა ხტუნაობას და ბოლოს  
ისეთ სიმღერას ჩააკრავებდა, რომ შორიდან ყური გვეგოთ იადო-  
ნი გვეგონებოდათ. სასაცილო სანახავი იყო, როდესაც უკანა ფეხებ-  
ზე წამოსკუბდებოდა და არაკრავებდა სიმღერას. მე ბევრისთვის მი-  
ჩვენებია იგი, როგორც იშვიათი რამ და ყველა დარწმუნდა, რომ  
ნამდვილათ არიან ქვეყანაზე მომღერალი თავები, მაგრამ ამ მოვლე-  
ნას-კი ვერაფერს ხსნიდა. აი, თვით მეც, ბევრ ხანს არ მესმოდა ეს  
უცნაური მოვლენა.

ბოლოს-კი სულ უბრალო შემთხვევით აღმოჩნდა, თუ რაშიაც  
იყო საქმე. ხივაში ემოგზაურობდი, ყიზილ-ყუმის უდაბნოს გზით. ჩვე-  
ნი ქარავანი შეჩერდა ქის ახლო ქვეშინ გორაკზე. სიცხე-პაპანაქე-  
ბამ ძალიან დავვალა ჩვენცა და ცხოველებიც. მე ჩამოვხტი ცხენი-  
დან და ნაბადზე წამოვწექი დასასვენებლათ. აქლემებსაც მოვხადეთ  
ტვირთი და სადილის თავდარიგს შევეუდექით. უეცრივ შემომესმა  
სწორეთ ისეთი სიმღერა, როგორსაც ჩემი თავი მღეროდა ხოლ-  
მე. მალე დავინახე საროსთან პატარა მოწითალო ცხოველი, რომე-

ლიც უკანა ფეხზე წამოსკუპულიყო, აქეთ-იქით იცქირებოდა და თან მღეროდა. ეს ის მხეც თავა იყო, რომლებიც მხოლოდ ამ ადგილას ცხოვრობენ. ესენი ძალიან ჰგვანან თავეებს, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ უფრო მსხვილებია ჭკუდიც ღინღიანი აქეთ. ეს მხეც-თაგეები ამ უდაბნოს ადგილებში ამოთხრიან ხოლმე მიწაში სოროს და ოჯახობით — გუნდობით ცხოვრობენ ერთათ. ესენი გაძლებიან თუ არა სოროდან ზევით ამოდინან, ხტუნაობენ, ცეცქობენ, ისე, როგორც ჩვენი თაგეები. ამ დროს, უეჭველათ, ერთი უფრო გამოცდილი მხეც-თაგეა, მალღობიდან დასცქერის ახალგაზდებს და თან მღერის. აი, ერთი ბორცვიდან რალმაც თავი გამოჰყო, თავისი მწვანე ეშმაკური თვალები ააბრიალა და ისეე დაიძალა. დარაჯმა ეს მაშინვე შენიშნა, დაუშტინა და ფიცხლავ სოროში ჩაძვრა; მოთამაშენიც მყისვე დაეშენენ და მიიძალნენ სოროებშივე. ამავე დროს ჩასაფრებული ადგილიდან მინდერის პატარა ძელია გამოძვრა, მაგრამ გვიან-ლა იყო, თაგეებს ველარა დააკლო-რა. გამობრუნდა უკან კუდიანი მელია და დაწყა აქეთ-იქით ხეტიალი, ეგება სხვაგან მაინც გაეზღე რასმეო.

დადგება ზამთარი თუ არა შიმშილისაგან შეწუხებული ამ მხეცების უმეტესობა თავს შეაფარებს ხოლმე მოხეტიალე ყირგიზებისა და თურქმენების ფარდულებს და იქ ისე იქცევიან, როგორც ჩვენებული თაგეი ჩვენს სახლებში. აქ-კი სიმღერის გუნებაზე არ არიან დღეს მუდამ მალულობაში ატარებენ, არაეის ეჩვენებიან. ღამე-კი გამოდიან და ჩვენი თაგეებივით იკლებენ იქაურობას.

უეჭველია ანლა თქვენ მიხედვებით, რომ თავეს სიმღერის უნარი გადმოცემული აქვს თავისი გარეული წინაპრებისაგან. სჩანს, მანამ კაცთან მოშორებით ცხოვრობდენ თაგეები მღეროდენ, ხოლო, როდესაც ისინი დასახლდენ სახლებში, აღარა მღერიან, რადგანაც ეშინიანთ არაეინ გაიგოს ჩვენი აქ ყოფნაო. მაგრამ ჩამომავლობითი ჩვეულება ისეთი დიადი რამ არის, რომ ზოგიერთ თაგეს, თუმცა მეტათ იშვიათათ, მაისც გამოაჩნდება ხოლმე სიმღერის უნარი და ალბათ სწორეთ ამ მოღიღინე თაგუნების ამბებს მიაშობდა ხოლმე გადია ჩემი ზღაპრათ ჩემს პატარაობაში.

აღ. ნ—ძე.

(თარგანი)



## იაპონელთა გავშები. \*)

აპონიაში სიძიდრის შეძენა ისე ვერ გაახარებს მშობლებს, როგორც ერთი ბავშვის დაბადება. უშვილო ღარიბი იაპონელიც დიდ სიმდიდრეს ნაკლებათ აფასებს, ვიდრე პატარა ტხუპნია ბიჭიკოს, მთელ დედამიწის ზურგზე იშვიათათ მოიპოვება ისეთი ქვეყანა, სადაც ბავშები ისე უყვარდეთ და ზრუნავდენ მათთვის, როგორც იაპონიაში. შეიძლება კიდევ იმიტომ ეძახიან იაპონიას „ბავშვების სამოთხეს“.

ფუკი-იამა, როცა დაიბადა, ისეთივე პატარა ყმაწვილი იყო, როგორც ჩვენ ყველანი: დაბადების დროს ჩვენსავე ტიროდა, კუმედა თითებს და ზუჭავდა თვალებს, ხან პირსაც კუმედა, თითქო სიკაპასისა შერცხეო. ბავში მალე გაჩუმდა — ფუკი-იამას სამი და ჰყავდა და არც ერთი ძმა. რაღა თქმა უნდა, რომ ვაჭიშვილის დაბადებამ ალტაცებაში მოიყვანა მშობლები.

— მადლობა ღმერთებს! ახლა-კი მეყოლება შემკვიდრე, რომელიც სიკედლიამდე ზრუნვას არ მომაკლებს, თქვა ბავშვის მამამ ფუკი შიომ.

მართლაც, გონიერი იაპონელი არა სცდებოდა, რადგან ამომავალ მზის ქვეყანაში ასეთი ჩვეულება აქვთ: ცოტათი წამოიზრდებიან შვილები თუ არა, ეხმარებან მშობლებს მუშაობაში და, როცა დაეჯკაცდებიან, სრულიად ანთავისუფლებენ მათ შრომისაგან. მთელ თავის ქონებას და საქმეს მამა უთმობს უფროს შვილს, რო-

\*) ის. თხუზ. ჰუტკინისა, ოკინინსკაისი და კაჭვიჯისა.



მელიც მოვალეა იზრუნოს უნცროს ძმებისა და დებისათვის. წარ-  
მოუდგენელია, რა პატივისცემით, სინაზით და მოწიწებით ეპყრო-  
ბა შეილი მამას ამ ქვეყანაში.

ჩვენ ფუკი იამას, რასაკვირველია, ესეები ჯერ არ გავგებოდა,  
ამან არც ის იცოდა, თუ რა სიხარული შეუდგათ მშობლებს მის  
დაბადების გამო, რომ მათ დაიპატიჟეს ნათესაეები, ნაცნობები და  
უნდათ იღღესასწაულონ ბავშის დაბადების დღე.

სტუმოები მხურვალეთ ულოცავდნენ დედ-მამას ვაჟიშვილის შე-  
ძენას, ფუკი იამა კი განაბული იყო თავისთვის და ყურსაც არ  
იბერტყდა ამაზე. ქალღმერთი გამოხევეული და ლამაზ წითელ ლენ-  
ტით გადაჭერილი სხვა-და-სხვანაირი საჩუქრები მოუყიდა ფუკი ია-  
მას. თითქმის ყველა საჩუქრებს ლენტზე ეკიდა თევზის ნაჭერი, რაც  
ნიშნავდა—ბედნიერი და კეთილი ადამიანი შეიქნეს ფუკი იამაო, რომ-  
მელიც საჩუქრებს და ბედის თევზს ყურადღებასაც არ აქცევდა და  
არც იცოდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

შემდეგ ფუკი იამა ხელიდან ხელში გადადიოდა, მას ყველა ესი-  
ყვარულდებოდა, იკრავდა გულში და ჰკოცნიდა. ახლა-კი მან ვე-  
ლარ მოითინა და ყველას აჩვენა, რომ ვაჟივით ხმა აქვს; ისე შე-  
ჰკივლა, რომ ყველამ ყურები დაიცო.

„ბავშების სამოთხეში“ (იაპონიაში) ახლად დაბადებული ყმაწ-  
ვილი ითვლება ერთი წლისად. იაპონელთა ბავშვებს არ უყვართ ტი-  
რილი და არიან ყოველთვის ჩუმათ. მათ აკენში არ აწვენენ და არ-  
ტახნებსაც არ უჭერენ, როგორც ჩვენ საბრალო ბავშვებს. ფუკი ია-  
მაც ყოველთვის ჩუმათ იყო, რადგან მას არაფერი უშლიდა თითები  
პირში ჩაედო და ეწუნა. გავიდა ოც-და-ცხრა დღე ფუკი იამას და-  
ბადების შემდეგ. მშობლებმა გადასწყიტეს დაერქმით სამი სახელი-  
დან ერთი რომელიმე: სანტიშიო, ფუკი იამა ან ოკუშიმო. ეს სახე-  
ლები მამამ დასწერა პატარა ქალღმერთზე. როცა ფუკი იამას დაუწყეს  
თმის პარსვა, მორთო ტირილი და სწორეთ ნამდელი კონცერტი  
გამართა, ეტყობა არ უნდოდა მოშვლებილი თავი ჰქონოდა. თმა კე-



ფაზე მთლათ გადაპარსეს, დაუტოვეს მხოლოდ წინ, ზოგ ყმაწვილს თმას უტოვებენ საფეთქელზე ან კეფაზე, ზოგსაც ალაგ-ალაგ, უშნოთ და ულამაზოთ-კი არა, რომელიმე სურათის მსგავსათ. აქაც კი სჩანს იაპონელის მიდრეკილება და ნიჭი ხატვისადმი.

შესრულდა ოც-და-ათი დღე, რაც ფუკი იამა დაიბადა. ახლად დაბადებული ჩვეულებისამებრ მოიყვანეს ეკლესიაში და შესწირეს ერთ ღმერთთაგანს, რომელიც ამ დღიდან უნდა შექნილიყო მისი მფარველი ყველა განსაცდელისაგან. მამამ გადასცა ქალაღზე დაწერილი სახელები კერპთ მსახურთა ბონზას (მღვდელს), რომელმაც სამივე სახელი გადასწერა სამ თხელ ქალაღზე, შემდეგ რაღაც წაიბუტბუტა, ხან ხმა-მალლა წამოიძახა; ეტყობოდა, რომ ლოცვებს ამბობდა. ფუკი იამა გაოცებით უყურებდა ბონზას, ტირილიც-კი დააპირა, როცა მან ხმა-მალლა დაიწყო ლოცვა. ბონზამ გაათვა ლოცვა თუ არა, სამივე ქალაღი აისროლა მალლა. ეს ფუკი იამას მოეწონა და აღარ იტირა. ერთი ქალაღი სხვებზე უმაღლედცა ძირს, ბონზამ საჩქაროთ მოიტაცა და ამოიკითხა: „ფუკი იამა“. ამ დღიდან ეწოდა ქონდრის ბიჭიკოს სახელი ფუკი იამა.

ფუკი შიო დაბრუნდა სახლში, მოიწვია სტუმრები და გამართა ნადიმი, ფუკი იამამ ახლაც მიიღო სტუმრებისაგან ლამაზი საჩუქრები, მშობლებისგან-კი, ჩვეულებისამებრ, ორი საქროლებელი. ფუკი შიომ მაღლობის ნიშნათ სტუმრებს ვაატანა ყუთები ბრიანჯიანი პურებით და კვერცხებით საესე.

ფუკი იამა იწვა სუფთა და რბილ ლოგინზე, რომელიც პირდაპირ იატაკზე იყო გაშლილი, რადგან იაპონიაში არ ხმარობენ აეფხს: სტოლებს, ტახტებს, სკამებს:

ყმაწვალი ცოტათი წამოიზარდა, ასე რომ თბილ ამინდში შეეძლო ხოხვით გამოსულიყო გარეთ და დამტკბარიყო სუუთა ჰაერით და ბუნების სილამაზით. დედამ შეუტერა შერლს რამდენიმე განიერ სახელოებიანი ხალათი, სულ სხვა-და-სხვა ფერისა, ზოგი ჭრელიც იყო.



ფუკი შიომ, თუმც შეძლებული კაცი იყო, მაინც არ დაიჭირა გამზდელი, რადგან, როცა დედა წავიღოდა სადმე, ყმაწვილს ყურს უგდებდნ დები. თავისუფალ დროს-კი დედა არ შორდებოდა საყვარელ შვილს და დღე-ღამ თაეს ევლებოდა. ფუკი იამას ძალიან უნაროდა, რომ დაიბადა „ბავშების სამოთხეში“, რადგან ამ ქვეყანაში საუკეთესოთ იციან შვილის აღზრდა. დედა სულ იმის ზრუნვაშია, რომ აცდინოს ბავშს ტირილის ან მწუხარების მიზეზი. ამიტომაც ფუკი იამას დედა ხშირათ იმეორებდა ერთ მეტათ გავრცელებულ ანდაზას: „ტირილი და მწუხარება ბავშს დიდობისასაც ეყოფაო“. მთელი ორი წელიწადი ტკბებოდა ფუკი იამა დედის ტკბილი რძით. იპოველში მეტათ სათაკილოთ მიანიათ, რომ დედა თითონ არ აწოვებდეს თავის შვილებს; ამიტომაც აქ ძიძების რიცხვი მეტად მცირეა.

დედას ეხმარებიან შვილების აღზრდა-განვითარებაში უფროსი ქალიშვილები. უფროსი და წამოიკიდებს ზურგზე თავის პატარა ძმას ან დას და მიეშურება ქუჩისაკენ ამხანაგებთან სათამაშოთ. რას არ თამაშობენ ქუჩებში იპოველი ბავშები: ბურთს, ასკინკილას, უშეგებენ იელქანს და სხვა. იპოველი ღარიბი ქალი, თუ წასასვლელია ყანაში ან ბოსტანში და სახლში არაინა ჰყავს, ბავშს მარტოთ მარტო არ დასტოვებს, არც საქმეს ვასცდება, მუიკიდებს ზურგზე თავის პაწაწას და ვასწევს სამუშაოთ. ხშირათ ნახავთ იპოველ ქალს, რომ მუშაობდეს მინდორში და თან ზურგით ბავშს ატარებდეს. ასეთი ჩვეულება გავრცელებულია მეტათ სოფლებში.

ფუკი იამაც დის ზურგზე ისე კონტათ თავსდებოდა, თითქო რბილ და კარგ უნაგირზე ზისო. ფუკი იამას უფროს დას ერქვა „ტურფა ვაზაფხული“, შუათანას „ალიონი“ და სულ უმცროსს-კი „ზამბახი“. მარტო ფუკი იამას დებს-კი არ ექვა ასეთი უცნაური სახელები, საზოგადოთ ქალიშვილებს იპოველში არქმევენ ტურფა და ნაზ საგნების სახელებს: ყვავილების, ფრინველების, წელიწადის დროს და სხვა. ფუკი იამა რიგ-რიგათ წამოეკადებოდა დებს ზურგზე, უფრო „ტურფა ვაზაფხულს“, როგორც ყველაზე უფროს დას. მხიარუ-

ლი და უღარდელი ფუკი იამა იცინოდა, ტიკტიკებდა და დასცქეროდა მოთამაშე ყმაწვილებს დის ზურგიდან, ხან ჩათვლემდა ხოლმე, ზოგჯერ ხერინვასაც ამოუშვებდა. ძილის დროს ქანაობდა მისი თავი, ისე ღრმათ ეძინა, რომ აპას ყურადღებასაც არ აქცევდა. თავის ქანაობა უმაგრებდა ფუკი იამას კისერს და კისრის ძარღვებს, შეიძლება ამიტომაცაა, რომ იაპონელებს კისერში დიდი ღონე აქვთ.

ცოტა არ იყვეს გვაკვირვებს ბავშვების ზურგით ტარება. თუმც ეს ჩვეულება, როგორც დაინახეთ, ერთი მხრით სასარგებლოა, მაგრამ მეორე მხრით მეტათ მაინებელია: ბავშს ზურგზე ჯდომით ფეხები ეხუთება და უბრუყდება, ზურგი ეტკინება და სუნთქვაც უმძიმდება. ქალაქებში ეს ჩვეულება ნელა-ნელა ჰქრება.

მგზავრის მომეტებულ ყურადღებას იაპონიაში, ამ საუცხოო და თან უცნაურ ქვეყანაში, იპყრებენ ბავშვები. ასეთ მშვიდ, დინჯ და გულკეთილ ყმაწვილებს მგზავრი ძნელათ შეხედება საღმე. მართალია ფუკი იამამ შეახმაურა მშობლების სახლი დაბადების დროს, მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის მაშინ მეტათ პატარა და შეუგნებელი იყო. ახლა-კი ჩენი ქონდრის ბიჭი იქცევა დიდებადით და თან ცდილობს მიზაძის მათ ყოფა-ქცევაში. ხუმრება ხომ არაა სამი წლისა შესრულდა! „ბავშვების სამოთხეში“ ბავშვებს ზრდიან ნაზად, დაყვავებით და ყურადღებით, დასჯა და ცემა სრულებით არ იციან. იაპონელებს მეტათ უყვართ ბანაობა, ისე დღე არ გაევა, რომ თითონაც და ბავშვებიც არ აბანონ თბილ წყალში. ფუკი იამას სინარულს საზღვარი არა ჰქონდა ხოლმე, როცა იჯდა გაბში და აუკაბუნებდა წყალს. თავისუფალ დროს ბავშვები იმყოფებიან ქუჩებში ან საბავშვო ბაღებში. იაპონიაში ყველა ქალაქში რამდენიმე ბაღია, განსაკუთრებით ბავშვთათვის დანიშნული, სადაც ყველანაირი სათამაშოები მოიპოვება. ეს ბაღები დიდიდან საღამომდე გაჭედლილია ყმაწვილებით. ბავშვების ცხოვრება სამი წლიდან ექვს წლამდე ამ ბაღებში მიმდინარეობს. შეიძლება იმიტომაც არიან იმათი ბავშვები ჩვენ ყმაწვილებზე გაცილებით ტან მთელი, ჯან-სალი და ცოცხა-

ლი. იპონელს თუ უყვარს ან ზრუნავს ვისთვისმე—ეს ბავშვებია. არაფერს დაზოგავს, ოღონდ ყმაწვილი კარგათ იზრდებოდეს. ერთხელ ფუკი იამას თავი წამოსტკიედა, მთელი სახლობა ფეხზე დადგა, ყველას შეექნა მწუხარება. დიდ დანაშაულათ ითვლება და სასტიკათ აკრძალულია ტყუილის თქმა.

— თუ როდისმე ტყუილს იტყვი,—მაშინვე მოვა წითელი ეშმაკი „ონი“ და ამოგგლეჯს მაგ ენას, არიგებდა დედა ფუკი იამას.

უწინ ქალიშვილების აღზრდა ცოტა სხენაირი იყო, ვიდრე ვაჟებისა. მათ ასწავლიდნენ მარტო დიასახლისობას, ბავშვების აღზრდას, ცეკვას, გიტარის დაკვრას, სტუმრებთან საამურ მუსიკაჟს, ხელოვნურ ყვავილების და კონების კეთებას, გარდა ამისა თმის დაეარცხნა-მორთვას, ცოტა წერა-კითხვას და ანგარიშსაც. იპონელების აზრით ყველაზე მეტ შრომას, ზრუნვას და ცოდნას საჭიროებს თმის დაეარცხნა, რასაც იპონელი ქალი ანდომებს რამდენსამე საათს. ძილის დროს რომ არ დაეშალოთ საუცხოვოთ და კოხტათ დაეარცხნილი თმა, თავს ბალიშებზე არ სდებენ, კისერი უდევთ მუთაქაზე, თავი-კი თავისუფლათ ჰკიდია, რის გამოც ყვავილებით, საეარცხლით და ქინძის-თაევბით მორთული თმა არ ეფუშებათ.

ფუკი იამა უტკეროდა თავის დებს, როცა ისინი წვალობდნენ თმის მორთულობაზე და ეუბნებოდა მათ: „ჩემსავეთ კეთაზე გაიპარსეთ თმა და მარტო წინ დაიყენეთ“. დები თუმცა ეთანხმებოდნენ ძამიას რჩევას, ვაგრამ მოპარსვით არ იპარსავდნენ, ხოლო კვირაში ერთხელ მეტათ არ იეარცხნიდნენ, რომ სხვა საქმეს არ გამცდარიყვენ.

ახლა ქალიშვილების და ვაჟების სწავლა-აღზრდაში აღარაა განსხვავება, თუმცა ქალებმა თმის მორთვას მაინც არ უღალატეს. იპონელი ბავში, ვაჟი თუ ქალი, პირველ დაწყებით სწავლა-აღზრდას იღებს ბაღში, სადაც რჩება ექვს წლამდე. შემდეგ, ათ წლამდე — დაიარება სკოლაში; აქ სწავლობს წერა-კითხვას, ანგარიშს, სამშობლო გეოგრაფიას, ისტორიას და გეოგრაფიას, ზოგი ფრანგულ, ინგლისურ და ნემცურ ენებსაც სწავლობს. ყველა მშობელი მოვალეა მისცეს

შეილი სკოლაში და თუ არ უნდა მიაღებოს შვილს სწავლა-განათლება, შეუძლია არ მიიბაროს სასწავლებელში, ამ შემთხვევაში მოვალეა გადაიხადოს ჯარიმა. აბა ვინ იქნება ისეთი სულელი, რომ თან ჯარიმა აძლიოს და თან შეილიც უსწავლელი გამოზარდოს.

ოჰ, რომ იცოდეთ, რა ძნელია იაპონური წერა-კითხვის დასწავლა, მაკრამ ბეჯით და მომთმინო მოწაფეს განა გაუძნელდება რამე? იაპონიაში სწერენ კისტით (ბეწვის კალამი), მელანს თითონ მოწაფეები ამზადებენ.

ფუკი იამა არ ნაღვლობდა წერა-კითხვის სიძნელეზე და მელანის ტუშიდან მომზადებაზე. ის ხომ ჯერ ექვეს წლისა არ იყო. ფუკი იამა ფიქრობდა მხოლოდ ყვეფლებზე, ჭრელ ტანისამოსზე და დღესასწაულებზე. იაპონელებს მარტო სიტყვით-კი არ უყვართ ბავშვები, ისინი სიყვარულს საქმითაც ამტკიცებენ. ქალაქში თითქმის ყველა ქუჩაზე შეხედებით სათამაშოების მაღაზიას პატარა იაპონელებით გაჭედვილს. დღესასწაულები იაპონელ ბავშვებს ბევრნაირი აქვთ. ახალ-წელიწადს ბავშვებს რთავენ სამკაულებით, შორიდან ისინი პეპელებს უფრო ჰგეანან, ვიდრე ადამიანებს.

ჯერ ფუკი იამა მოკრთეს და მერე ოჯახობამ თითონ და იწყეს მოკაზმვა. უცქეროდა ჭრელ ტანისამოსში გამოწყობილი ფუკი იამა თავის დებს, როცა ისინი იყრიდნენ სახეზე პუდრს, ტუჩებს იგლესაგდენ წითელი პომადით. გაოცებული შესტკეპროდა ძმა დებს და ეკითხებოდა: „რომელ მდინარეში გაიბანთ ყველა მაგას, რაც წაისვით სახეზეო?“ დების სიცილ ხარხარს ბოლო არ ჰქონდა, მაგრამ ფუკი იამა დაწმებით ერთ და იმავეს ეკითხებოდა. ქუჩები რესება მორთულ-მოკაზმულ ბავშვებით. ყველას უჭირავს ბაი-რაღები, სათამაშოები, ზოგს საკრავები და თარნები წამოუღია. ყველა ხარობს, თამაშობს; ლაპარაკი, სიცილი, მუსიკის ხმა ერთმანეთში არეულა... ამ უქმისათვის ემზადებიან რამდენიმე დღის წინეთ მეტადრე გოგუტუნები: ყიდულობენ დედოფლებს და უკრავენ მათ ტანთ-საცმელს. ზოგი შეძლებული იაპონელი მართავს ახალწლად

დღესასწაულს საკუთარ სახლში და იწვევს ასამდე ყმაწვილს, რომელთა ათას გეარ თამაშობას და სიამოვნებას ბოლო არა აქვს.

მეხუთე თვის მეხუთე დღეს ბიჭები მართვენ დიდ დღესასწაულს: აკეთებენ ქალაღის თევზებს, აჭედენ ჯოხებზე და მერე ათასობით ასობენ ბანებზე. ფუკი იამამ ერთი ისეთი დიდი და ლამაზი თევზი გააკეთა, რომ მეზობლები განცვიფრებაში მოიყვანა. „უეჭველათ ფუკი იამა შესანიშნავი მხატვარი გამოვა“ ამბობდნენ ისინი. წითელყვითელ თევზებით მორთული სახლები საზღაპრო სახლებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ნამდვილს. მხიარული ბავშვების გუნდი დაიარებია ქუჩებში თევზებით და ქალაღის ფარებით.

ათბუკი.



## გასართობი.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წამოდგენილი კ. სესნიაშვილისაგან).

ჩხაენა კატა მახეში გაბმულ თაგვზე გაიმარჯვებსო.

—  
 თუ ბზუის ფუტკარი თაფლს აგროვებს,  
 თუ ჩუმათ არის მახე თიქრობსო.

—  
 თუ ვირმა ხტომა არ იცოდეს, როგორ შეიკუნტრუშებდაო.



შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ად. შიუკაშვილისგან).

ქვა სიტყვის ნახევარი,  
 სათამაშო—ყმაწვილური,  
 ნახევართ ქვების ძირსა  
 ეხედავთ არის დაბურული;  
 მთელი-კი საკრავი არის  
 ხმა ტკბილი და საამური.

ჩქარა გამოსათქმელი.

ცალ-ცალ ჩულქს — ცალ-ცალს მიეუმატებ  
 და ისე დაეაწყვილ-წყვილებ.

სიტყვების ამოცანა.

ამათ წინ და უკან მიუმატეთ ოროლი ასო, რომ გა-  
 მოვიდეს საქართველოს რომელიმე შესანიშნავი ქალაქი.

ილი  
 ხე  
 თუ  
 ვეა

სახუმარო კითხვები.

ის რა კაკალია, რომელიც ხის ნაყოფი არ არის?


რომელ წელიწადს უფრო ბევრს სჭამს ადამიანი?

შეიძლება, რომ კაკაკი მიფრინავდეს და ძალი-კი კულზე აჯდეს?



10/20

147



15524  
904